# სარბიელი

სპორტული გაზეთი · შაბათი 14 აგვისტო 2004 №187 (2208) · ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



# გახსნა

## საბერძნეთმა ახსნა, რატომ ეკუთვნოდა ოლიმპიადა: ეს იყო კულტურა!






## ბერძნებმა კახი კახიაშვილს დიდი პატივი მიაგეს: ოლიმპიური ცეცხლის ანთებაში საპატიო ადგილი არგუნეს

# აგიოს ანდრეას!

## შუაღამის მარათონი მარათონის გზაზე

ავთანდილ გურასაშვილი

ათენიდან



*აგიოს ანდრეას! აგიოს ანდრეას! – ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენი ათენური ოლიმპიური თამაშების პირველი დღე და ამავე სიტყვებით დასრულდა ის ღამეც. თავიდან უემოციოდ და მერე თავშეკავებით, ბოლოს კი განწირულებივით გავიძახოდით: აგიოს ანდრეას!*

დილით ჩამოფრენილებმა პრესის წარმომადგენელთათვის განკუთვნილი ავტობუსის მძღოლს რომ ვუთხარით, აგიოს ანდრეასო, თავი დაგვიქნია, დაბრძანდითო და გაგვაქანა. ბევრი ვიარეთ თუ ცოტა, სადღაც მიგვიყვანა და, აი, ესაა თქვენი აგიოს ანდრეას და მედია სოფელიო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ გაჭირვებულს რაღაც შეშლია და ჩვენი გაჭირვებაც დაიწყო. ბოლოს, როგორც იქნა, აღმა-დაღმა სიარულის მერე ჩვენი ხუთკაციანი ჯგუფი ნამდვილ აგიოს ანდრეაში მიგვიყვანა.

აგიოს ანდრეასი, როგორც გვითხრეს, ჯერ ჩვენი და მილეთიდან ჩამოსული ჩვენი კოლეგების, ოლიმპიადის მერე კი ბერძენი ჯარისკაცების საცხოვრებელი სახლები თუ ყაზარმები იქნება, თუმცა, იმ შენობებს ყაზარმისა არაფერი მიუგავს — ქათქათა, ორ-ორსართულიანი და ორ-ოროთახიანი საცხოვრებლებია თავისი სამზარეულოებით, საშხაპეებით და ტუალეტებით.

ეს კოტეჯებივით სახლები ზღვის პირზე, ფიჭვნარშია ჩაფლული, მის ტერიტორიაზე არის პლაჟი, ნავსაყუდელი, კორტები, საბურთაო მოედნები, ბავშვთა გასართობი პარკი...

ერთი სიტყვით, აგარაკზე თუ სადღაც პანსიონატში გვგონია თავი და ზოგი ჩვენი კოლეგა შორტებით და პირსახოცებით სანაპიროზე ქოშებს არხეინად დააფრატუნებს, მაგრამ ამ საღამოდან აქ ოლიმპიური ცეცხლი აგიზგიზდება, ყველანი შიგ გადაეშვებიან, მშვიდ ცხოვრებას დაკარგავენ და სახეები წაეშლებათ.

ჩვენთვის ეს ნერვიულობა ჩამოსვლისთანავე დაიწყო და „ყაზარმებიდან“ გამოსულებმა იქაურობმა ისევ დავკარგეთ.

მაგრამ მივყვეთ თანმიმდევრულად: საღამოს ხუთ საათზე ოლიმპიურ სოფელში ჩვენი დელეგაციის დროშის აღმართვის ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა. თუმცა, ეს ცერემონიალი გუშინ სულაც არ დაწყებულა. აქ ჩამოსულებს ხუთ-ხუთად კრებენ და მერე მათ მეთაურებს რიგრიგობით ღია ცის ქვეშ სცენაზე უხმობენ. ოფიციალური მისალმებების შემდეგ საჩუქრების გაცვლა-გამოცვლაა. ამას მოჰყვება ხუთ ფლაგშტოკზე რიგრიგობით დროშების აღმართვა. ბოლოს კი რაღაც გაუგებარი პანტომიმური წარმოდგენა ეწყობა. ეს ყოველივე სრულდება სტუმართა ბუტერბროდებით, ხილეულითა და გამაგრილებელი სასმელებით გამასპინძლებით.

ამ ცერემონიალის დასრულების შემდეგ მასპინძლები ფლაგშტოკებიდან დროშებს ხსნიან და ადგილს სხვებისთვის ათავისუფლებენ. ასე მეორდება მანამ, სანამ ყველა დროშა აღიმართება. ჩამოხსნილ დროშებს კი დროშების ხეივანში აფრიალებენ.

ჩვენს ჯგუფში გრენადის, სურინამის, სეიშელისა და ჩეხეთის დელეგაციები მოხვდნენ. მათი დროშებიც ამავე თანმიმდევრობით აღმართეს.

ცერემონიალის მერე ჩვენს სპორტსმენებსაც გავესაუბრეთ და, ამათ რომ ჰკითხოთ, მგონი ყველანი მედლის მოპოვებას გეგმავენ, თანაც ვერცხლსა და ბრინჯაოზე კი არა, ოქროზე ფიქრობენ. განსაკუთრებით ჩვენი მოკრივეები არიან დიდ გულზე, გამოცდილები კი გაცილებით თავშეკავებულები არიან, მათ შორის ჩვენი ძალოსანი, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი გიორგი ასანიძე. ამბობს, ტრავმების მერე თანდათან ჯანზე მოვედი და ახლა მთავარია, ღმერთმაც გადმომხედოსო.

ვიდრე ბიჭები საქმეში ჩაერთვებიან, იქნება ბანკეტები, მიღებები, პრეზენტაციები... გუშინ საღამოს 9 საათისთვის ჯიბეში რამდენიმე ასეთი მიწვევა მედო. აქეთ „კოდაკი“ თავის ბანკეტზე გვეპატიჟებოდა აკრედიტებულ ფოტორეპორტიორებს, იქით კი საერთოდ მთელ ჟურნალისტთა კორპუსს გვექაჩებოდნენ კოხტა მოსაწვევი ბარათებით. მაგრამ რაკი „ქართული სახლის“ პრეზენტაციაც იმავდროულად იყო, ჩვენც იქით, გლიფადის რაიონში გავცვივდით. ისიც ზღვასთან ახლოს ყოფილა და ისიც ჩვენი მედია-სოფელივით გადაკარგულში.

ქართული სახლი ჩვენი ისტორიისა და კულტურის პროპაგანდისთვისაა გათვალისწინებული, მაგრამ ალბათ ძირითადი ოლიმპიური ბაზების ეპიცენტრიდან იმ დასაკარგავში [illegible] ძალზე მოისაკლისებს. თუმცა, მის პრეზენტაციაზე ბლომად ხალხმა კი მოიყარა თავი. იყვნენ ჩვენი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები, საქართველოს ელჩი საბერძნეთში ზვიად ჭუმბურიძე, ათენში ქართული ინსტიტუტის დირექტორი, დოქტორი ავთანდილ მიქაბერიძე, ათენის ქართული სკოლის პედაგოგები, აქ მცხოვრები ქართველები... იყო ველოსიპედით მოგზაურობაში გინესის რეკორდსმენი ჯუმბერ ლეჟავა, რომელმაც იმ ოდისეის დასრულების მერეც ვერ მოისვენა და ისევ თავის რკინის რაშზე ამხედრდა.

სხვათა შორის, იგი რვა წლის წინათ ატლანტის ოლიმპიური თამაშების დღეებშიც მოგზაურობდა და იქაური ქართული სახლის პრეზენტაციაშიც მონაწილეობდა.

რა თქმა უნდა, ამჟამინდელ პრეზენტაციაზე იყვნენ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობა, სპორტის დეპარტამენტის შეფობა და სეოკ-ის უფროსობა. საღამო კი, ისე როგორც ატლანტაში, აქაც ჩვეული ხალისითა და მომხიბვლელობით მიჰყავდა ნანა ალექსანდრიას.

ბოლოს იყო ალაფურშეტი და, როცა იქაურობას შემორჩენილი ბოლო სტუმრებიც ტოვებდნენ... ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი, სოკ-ის წევრი, იტალიელი მარიო პესკანტე მობრძანდა ამალითურთ...

მერე კი იყო ისევ მარათონი შუაღამისას აგიოს ანდრეას ძებნაში მარათონის უკაცრიელ გზაზე, დროდადრო პოლიციელთა პატრულების გადაყრა, იმათ ნასწავლ ცრუ გზაზე აღმა-დაღმა სიარული, ნერვების წყვეტა და ბოლოს ისევ პოლიციელთა კორტეჟით ჩვენს საცხოვრებლამდე მიცილება, რაც ჩვენი ათენური პირველი დღის ყველაზე ცუდ მოგონებად დარჩება.

# ოლიმპიადა მშვილდოსნებმა მოზიდეს

*გენიალური საზეიმო გახსნა და ფოეირვერკები გუშინ იყო. დღეიდან კი ათენში ისეთი ბრძოლები დაიწყება, დედა შვილს რომ არ აიყვანს. თუმც, მოგეხსენებათ, ოლიმპიადა 11 აგვისტოს ფეხბურთელებმა გახსნეს, ხოლო გუშინწინ ქართველი მშვილდოსანი ქალებიც ჩაებნენ საქმეში...*

ინდივიდუალურ ჩათვლაში საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართა, რომელმაც 15 აგვისტოსთვის ოცდამეთორმეტედფინალში დააწყვილა მშვილდოსნები. ახალგაზრდა ქრისტინე ესებუამ 636 ქულით 22-ე შედეგი აჩვენა პირველ ეტაპზე და ინდოელ რეენა კუმართან (620 ქულა) მოუწევს გაჯიბრება. ხათუნა ნარიმანიძემ კი 41-ე პოზიცია დაიკავა და ესპანელ ჩუბინ ალმუდენა გალიპიდოსთან გაარკვევს მჯობს. კუმარმა და გალიპიდომ, შესაბამისად, 43-ე და 24ე შედეგები აჩვენეს.



მოკრივეები კოტე კუპატაძე და ნიკა იზორია რინგზე ასვლამდე იქნევენ მუშტებს

გაირკვნენ ჩვენი ძიუდოისტების — ნესტორ ხერგიანისა (60კგ) და დავით მარგოშვილის (66 კგ) მეტოქეები. ხერგიანი დღეს 11:30 საათზე გავა ტატამზე და ცნობილ ესპანელ კენჯი უემაცუს შეეჭიდება. იაპონური ჩამომავლობის უემაცუ უმჩატესი წონითი კატეგორიის ერთ-ერთი ფავორიტია, თუმც, ნესტორს მასთან ურიგო შანსები არა აქვს. გამარჯვების შემთხვევაში, მესტიელი ფალავანის მეტოქე ყაზახი ნაზარბეკ დონბეისა და ალჟირელი ომარ რებაჰის შორის მოგებული იქნება. საინტერესოა, რომ ამ წონაში ბადე ისე შედგა, ხერგიანს ზეფავორიტ იაპონელ ნომურასთან ნახევარფინალამდე არ მოუწევს ჭიდილი.

დავით მარგოშვილი ხვალ პირველ შეხვედრას ბულგარელ გეორგი გეორგიევთან გამართავს. გეორგიევი ნაღდად არ არის აუღებელი ციხე-სიმაგრე და თუ მარგოშვილმა იმარჯვა, მომდევნო მეტოქედ თურქ ბექთაშ დემირელსა და ფრანგ დარბე ბენბუადოს შორის მოგებული ეყოლება. აი, დემირელი კი ნამდვილად არ იქნება საჩუქარი... შეგახსენებთ, რომ ძიუდოში თითოეულ წონით კატეგორიაში მედლები იმ დღესვე თამაშდება.

ახლა მოკრივეებზე: ფოთელი ნიკა იზორია (51კგ) ათენურ „პერისტენ რინგზე“ 17 აგვისტოს ავა და არცთუ ძლიერ ვალიდ შერიფს (ისრაელი) შეებმება. მოგების შემთხვევაში კი, იზორია მერვედფინალში 21 აგვისტოს გაიქნევს მუშტს.

რაც შეეხება კონსტანტინე კუპატაძეს (57კგ), მას მაღალმა რეიტინგმა კარგი „არდადეგები“ გამოუწერა. ამ წონის 28 მოკრივიდან ოთხი ავტომატურად დაჯავშნეს მერვედფინალში და ქართველი მოკრივეც მათ შორის მოხვდა. ასე რომ, კუპატაძე პირველ ბრძოლას 20 აგვისტოს გამართავს.

ბოლოს გეტყვით, რომ ჩვენმა საუკეთესო ძალოსანმა გიორგი ასანიძემ წინასწარ შეკვეთილი 380 კილოგრამიანის ნაცვლად, 385 კილოგრამიანი შტანგა შეუკვეთა და A ჯგუფში მოხვედრა გაინაღდა.

**ილია ნანოზაშვილი**





ძიუდოისტებმა ნესტორ ხერგიანმა და დავით მარგოშვილმა ათენში თავიანთი პირველი მეტოქეების სახელები გაიგეს

# ქართველები ათენში: ვინ როდის?

### 14 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **ძიუდო** | | |
| ნესტორ ხერგიანი (60კგ) | | წინასწარი, ფინალი |
| **სპორტული ტანვარჯიში** | | |
| ილია გიორგაძე | მრავალჭიდი | კვალიფიკაცია |

### 15 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **ძიუდო** | | |
| დავით მარგოშვილი (66კგ) | | წინასწარი, ფინალი |
| **სროლა** | | |
| ნინო სალუქვაძე | პნევმატური პისტოლეტი | კვალიფიკაცია, ფინალი |
| **მშვილდოსნობა** | | |
| ქრისტინე ესებუა | | 1/32 ფინალი |
| ხათუნა ნარიმანიძე | | 1/32 ფინალი |
| **ცურვა** | | |
| ზურაბ ხომასურიძე | 200 მ. თავისუფალი სტილი | წინასწარი გაცურვა, ნახევარფინალი |

### 16 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **ძიუდო** | | |
| დავით ქევხიშვილი (73კგ) | | წინასწარი, ფინალი |
| **ცურვა** | | |
| ზურაბ ხომასურიძე | 200 მ. თავისუფალი სტილი | ფინალი |
| **კრივი** | | |
| კონსტანტინე კუპატაძე (57კგ) | | I წრე |

### 17 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **ძიუდო** | | |
| გრიგოლ მამრიკიშვილი (81კგ) | | წინასწარი, ფინალი |
| **სროლა** | | |
| ნინო სალუქვაძე | სპორტული პისტოლეტი | კვალიფიკაცია, ფინალი |
| **მშვილდოსნობა** | | |
| ქრისტინე ესებუა | | 1/16 ფინალი |
| ხათუნა ნარიმანიძე | | 1/16 ფინალი |
| **კრივი** | | |
| ნიკოლოზ იზორია (51კგ) | | I წრე |

### 18 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **ძიუდო** | | |
| ზურაბ ზვიადაური (90კგ) | | წინასწარი, ფინალი |
| **სპორტული ტანვარჯიში** | | |
| ილია გიორგაძე | მრავალჭიდი | ფინალი |
| **მშვილდოსნობა** | | |
| ქრისტინე ესებუა | | 1/8, 1/4, 1/2, ფინალი |
| ხათუნა ნარიმანიძე | | 1/8, 1/4, 1/2, ფინალი |

### 19 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **ძიუდო** | | |
| ივერი ჯიქურაული (100კგ) | | წინასწარი, ფინალი |

### 20 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **ძიუდო** | | |
| ლაშა გუჯეჯიანი (მძიმე) | | წინასწარი, ფინალი |
| **ბატუტზე ხტომა** | | |
| რუსუდან ხოფერია | | კვალიფიკაცია, ფინალი |
| **კრივი** | | |
| კონსტანტინე კუპატაძე (57კგ) | | II წრე |

### 21 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **ძალოსნობა** | | |
| გიორგი ასანიძე (85კგ) | | კვალიფიკაცია, ფინალი |
| **კრივი** | | |
| ნიკოლოზ იზორია (51კგ) | | II წრე |
| **მძლეოსნობა** | | |
| იულია დუბინა | სამხტომი | კვალიფიკაცია |

### 22 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **სპორტული ტანვარჯიში** | | |
| ილია გიორგაძე | ცალკეული იარაღები | |

### 23 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **ძალოსნობა** | | |
| არსენ კასაბიევი (94კგ) | | კვალიფიკაცია, ფინალი |
| **სპორტული ტანვარჯიში** | | |
| ილია გიორგაძე | ცალკეული იარაღები | |
| **კრივი** | | |
| კონსტანტინე კუპატაძე (57კგ) | | მეოთხედფინალი |
| **მძლეოსნობა** | | |
| იულია დუბინა | სამხტომი | ფინალი |

### 24 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა** | | |
| ირაკლი ჭოჭუა (55კგ) | | ჯგუფური, მეოთხედფინალი |
| მანუჩარ კვირკველია (66კგ) | | ჯგუფური, მეოთხედფინალი |
| მუხრან ვახტანგაძე (84კგ) | | ჯგუფური, მეოთხედფინალი |
| მირიან გიორგაძე (120კგ) | | ჯგუფური, მეოთხედფინალი |
| **მძლეოსნობა** | | |
| მარიამ ქევხიშვილი | ბირთვის კვრა | კვალიფიკაცია, ფინალი |
| დავით ილარიანი | 110მ. თარჯრბენი | I წრე |

### 25 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა** | | |
| ირაკლი ჭოჭუა (55კგ) | | ნახევარფინალი, ფინალი |
| მანუჩარ კვირკველია (66კგ) | | ნახევარფინალი, ფინალი |
| მუხრან ვახტანგაძე (84კგ) | | ნახევარფინალი, ფინალი |
| მირიან გიორგაძე (120კგ) | | ნახევარფინალი, ფინალი |
| აკაკი ჩაჩუა (60კგ) | | ჯგუფური |
| რამაზ ნოზაძე (96კგ) | | ჯგუფური |
| **კრივი** | | |
| ნიკოლოზ იზორია (51კგ) | | მეოთხედფინალი |
| **მძლეოსნობა** | | |
| დავით ილარიანი | 110 მ. თარჯრბენი | |

### 26 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა** | | |
| აკაკი ჩაჩუა (60კგ) | | მეოთხედფინალი, ნახევარფინალი, ფინალი |
| რამაზ ნოზაძე (96კგ) | | მეოთხედფინალი, ნახევარფინალი, ფინალი |
| **მძლეოსნობა** | | |
| დავით ილარიანი | 110 მ. თარჯრბენი | ნახევარფინალი |

### 27 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **თავისუფალი ჭიდაობა** | | |
| ოთარ თუშიშვილი (66კგ) | | ჯგუფური, მეოთხედფინალი |
| რევაზ მინდორაშვილი (84კგ) | | ჯგუფური, მეოთხედფინალი |
| ალექსი მოდებაძე (120კგ) | | ჯგუფური, მეოთხედფინალი |
| **კრივი** | | |
| ნიკოლოზ იზორია (51კგ) | | ნახევარფინალი |
| კონსტანტინე კუპატაძე (57კგ) | | ნახევარფინალი |
| **მძლეოსნობა** | | |
| დავით ილარიანი | 110 მ. თარჯრბენი | ფინალი |

### 28 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **თავისუფალი ჭიდაობა** | | |
| ოთარ თუშიშვილი (66კგ) | | ნახევარფინალი, ფინალი |
| რევაზ მინდორაშვილი (84კგ) | | ნახევარფინალი, ფინალი |
| ალექსი მოდებაძე (120კგ) | | ნახევარფინალი, ფინალი |
| დავით პოლოსიანი (60კგ) | | ჯგუფური |
| გელა საღირაშვილი (74კგ) | | ჯგუფური |
| ელდარ კურტანიძე (96კგ) | | ჯგუფური |
| **კრივი** | | |
| ნიკოლოზ იზორია (51კგ) | | ფინალი |
| კონსტანტინე კუპატაძე (57კგ) | | ფინალი |

### 29 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| **თავისუფალი ჭიდაობა** | | |
| დავით პოლოსიანი (60კგ) | | მეოთხედფინალი, ნახევარფინალი, ფინალი |
| გელა საღირაშვილი (74კგ) | | მეოთხედფინალი, ნახევარფინალი, ფინალი |
| ელდარ კურტანიძე (96კგ) | | მეოთხედფინალი, ნახევარფინალი, ფინალი |

## ლაბაძე მაჯამ ისტორიიდან ამოწერა



**სამწუხაროდ,** ქართველ სპორტსმენთა 33-კაციანი საათენო კრებული ერთი წევრით შემცირდა — ირაკლი ლაბაძისთვის ოლიმპიადა გუშინ დასრულდა. 15 აგვისტოს ქართველი ჩოგბურთელი პირველ წრეში მე-14 ნომრად განთესილ გერმანელ ნიკოლას კიფერს უნდა შეხვედროდა, თუმცა ლაბაძეს ბელარუსი მეჩოგნე ვლადიმირ ვოლჩკოვი შეცვლის. ირაკლი მარჯვენა მაჯამ დაალალატა...

ლაბაძე ეგვიპტელებთან სადევისთასო შეხვედრების შემდეგ ოდნავ იტკივებდა მაჯას. თითქოს სერიოზული არაფერი იყო, მაგრამ გუშინწინ ათენში 45-წუთიანი ვარჯიშის შემდეგ ქართველი ხელს ველარ ამოძრავებდა და თამაშზე უარი განაცხადა. ირაკლის ტრავმა ორმაგად საწყენია იმ მხრივ, რომ იგი გახდებოდა ისტორიაში პირველი ქართველი ჩოგბურთელი ვაჟი, რომელიც ოლიმპიადას დააჭაშნიკებდა. ირაკლის დღეს რენტგენს გადაუღებენ და დაახლოებით მაინც დაუდგენენ, როდის შეძლებს კორტზე გასვლას.

**ილია ნანობაშვილი**

# ათენის ოლიმპიური თამაშების პროგრამა. 13–29 აგვისტო

ATHENS 2004

| | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პარ | შაბ | კვ | ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ | ორ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
| გახსნა და დახურვა | | | | | | | | | | | | | | | | | |
| მშვილდოსნობა | | | | | | | | ფ | ფ | | | | | | | | |
| მძლეოსნობა | | | | | | ფ | | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ |
| ბადმინტონი | | | | | | | ფ | ფ | ფ | | | | | | | | |
| ბეისბოლი | | | | | | | | | | | | | ფ | | | | |
| კალათბურთი | | | | | | | | | | | | | | | | ფ | |
| პლაჟის ფრენბურთი | | | | | | | | | | | | ფ | ფ | | | | |
| ფრენბურთი | | | | | | | | | | | | | | | | ფ | ფ |
| კრივი | | | | | | | | | | | | | | | | ფ | ფ |
| ბაიდარა კანოე | | | | | | | | | | | | | | | ფ | ფ | |
| საწყლოსნო სლალომი | | | | | | ფ | | ფ | | | | | | | | | |
| სამთო ველორბოლა | | | | | | | | | | | | | | | ფ | ფ | |
| საგზატკეცილო ველორბოლა | | ფ | ფ | | | ფ | | | | | | | | | | | |
| ველოტრეკი | | | | | | | | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | | | | |
| წყალში ხტომა | | ფ | | ფ | | | | | | ფ | | ფ | | ფ | | ფ | |
| ცხენოსნობა | | | | | | ფ | | | ფ | | | ფ | ფ | | ფ | | |
| ფარიკაობა | | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | | | | | | | |
| ფეხბურთი | | | | | | | | | | | | | | ფ | | ფ | |
| ტანვარჯიში | | | | ფ | ფ | ფ | ფ | | | ფ | ფ | | | | | | |
| მხატვრული ტანვარჯიში | | | | | | | | | | | | | | | | ფ | ფ |
| ბატუტი | | | | | | | | ფ | ფ | | | | | | | | |
| ხელბურთი | | | | | | | | | | | | | | | | | ფ |
| ბალახის ჰოკეი | | | | | | | | | | | | | | ფ | ფ | | |
| ძიუდო | | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | | | | | | | | | |
| ხუთჭიდი | | | | | | | | | | | | | | ფ | ფ | | |
| ნიჩბოსნობა | | | | | | | | | ფ | ფ | | | | | | | |
| აფროსნობა | | | | | | | | | ფ | ფ | | | ფ | ფ | | ფ | |
| სროლა | | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | | | | | | | |
| სოფტბოლი | | | | | | | | | | | ფ | | | | | | |
| ცურვა | | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | ფ | | | | | | | | |
| სინქრონული ცურვა | | | | | | | | | | | | | ფ | | ფ | | |
| წყალბურთი | | | | | | | | | | | | | ფ | | | | ფ |
| ჩოგბურთი | | | | | | | | | ფ | ფ | | | | | | | |
| მაგიდის ჩოგბურთი | | | | | | | | ფ | ფ | ფ | ფ | | | | | | |
| ტრიატლონი | | | | | | | | | | | | | ფ | ფ | | | |
| ტაეკვანდო | | | | | | | | | | | | | | ფ | ფ | ფ | ფ |
| ძალოსნობა | | ფ | ფ | ფ | | ფ | ფ | ფ | ფ | | ფ | ფ | ფ | | | | |
| თავისუფალი ჭიდაობა | | | | | | | | | | | ფ | | | | | ფ | ფ |
| ბერძნულ-რომაული ჭიდაობა | | | | | | | | | | | | | ფ | ფ | | | |

▒ — წინასწარი შეჯიბრება, ფ — ფინალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავარია ვერ გიშველით!

## ჟაკ როგი ბერძნებს სახლშიც არ ასვენებს

ATHENS 2004

*ბერძენი სპინტერები, კოსტას კენტერისი და კატერინა ტანუ სერიოზულ სკანდალში გაეხვივნენ. ჯერ დოპინგ-ტესტებზე დააგვიანეს, შემდეგ კი ოლიმპიურ სოფელში მისულ სოკ-ის წარმომადგენლებს ნომრებში არ დაუხვდნენ. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი ცეცხლებს ყრიდა, სტუმარ-მასპინძელი მე არ ვიცი, ყველა დაისჯებაო*



კოსტას კენტერისს პირადად ჟაკ როგი ემუქრება



აღმოჩნდა, რომ კოსტასი და კატერინა თავიანთ მწვრთნელ, ხრისტოს ზეკოსთან წასულან მოტოციკლით, ხოლო როდესაც გაუგიათ, სოკ-ი ჩვენს წინააღმდეგ გამოძიების ჩატარებას აპირებსო, უკან გამობრუნებულან. 200 მეტრზე სირბილში ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა კენტერისმა მოტოსპორტში ვერ ივარგა, საჭე გაექცა და ტრასიდან გადაფრინდა თავის მეგობარ კატერინასთან ერთად. ახლა ორივენი ჰოსპიტალში იმყოფებიან. ერთ-ერთმა ექიმმა განაცხადა, მდგომარეობა არცთუ სახუმაროა, თუმც მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებაო. სპორტსმენებს სხეულის დაჟეჟილობები აღმოაჩნდათ, კოსტასს კი თავის ქალის ტრავმაც მიუღია.

საბერძნეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ვასილისა სევასტისამ ავტოკატასტროფის მიზეზად ნერვიული სტრესი ივარაუდა. მისი აზრით, დისკვალიფიკაციის შიშმა კოსტასს თავგზა აუბნია.

ჟაკ როგი ეჭვის თვალით უყურებს მომხდარ ფაქტს და იმასაც არ გამორიცხავს, რომ ბერძნებმა ავტოსაგზაო შემთხვევა თავად მოიწყვეს, რათა დოპინგის კვალი დაეფარათ. სამედიცინო აპარატურისა თუ კათეტერების დახმარებით იოლია სისხლის გარკვეული ნივთიერებებისგან გაწმენდა, სწორედ ეს ხდება ახლა ჰოსპიტალშიო — ირწმუნება როგი."

სოკ-მა ბერძნებს 72 საათი უწყალობა. ამ ხნის განმავლობაში კოსტასმა და კატერინამ დოპინგ-ტესტები უნდა გაიარონ, თუ არადა სანქციები არ ასცდებათ.

**ლადო ჭულუკიძე**

# ცოლიანები უცოლოებზე?

**პაუ გასოლი** და საკალათბურთო ძმანნი მისნი სავარჯიშოდ შეიკრიბნენ. ის იყო, ბურთის კალათში სროლა უნდა დაეწყოთ, რომ დარბაზში ფიბა-ს წარმომადგენელი ლიუბომირ კოტლება დაესხა თავს და ყველას სპორტული ტანისამოსის გახდა უბრძანა.

გაკვირვებულ ესპანელებს აუხსნეს, რომ ზოგიერთი კომპანია, რომელთა ლოგოებიც მათ მაისურებს ამშვენებდა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პარტნიორ კომპანიათა კონკურენტია და შესაბამისად ოლიმპიადაზე მათი სიმბოლიკის გამოყენება დაუშვებელია.

ესპანელები 20 წუთის განმავლობაში წელსზევით შიშვლები თამაშობდნენ, შემდეგ კი იქვე მდებარე მაღაზიაში ოც-ოც ევროდ ღირებული, ოლიმპიური სიმბოლიკით დამშვენებული მაისურები იყიდეს და ვარჯიში ასე განაგრძეს.

საინტერესოა, მოასწრებენ თუ არა ესპანელები ეკიპირების შეცვლას. თუ ვერა და ეგებ ისეც მოხდეს, ჩვენში გახდილები ჩაცმულებს რომ ეთამაშებიან ერთმანეთის გასარჩევად.

ამის მერე კი ალბათ ცოლიანების უცოლოებთან თამაშიც დაიწყება...

**ლადო ჭულუკიძე**



პაუ გასოლი და ესპანეთის ნაკრები ოლიმპიადის სპონსორებმა გააშიშვლეს

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

12-დან 30 აგვისტომდე ათენში იმუშავებს საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის პრესცენტრი.

ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ:
(30) 697 906 1285
(30) 697 906 1103

# გაიხადე და ფეხებით წამოდი!

**საბერძნეთი** დემოკრატიის სამშობლოა, თუმცა ოლიმპიადაზე ისეთი დაქტატურა გამეფდება, ბარე ორ იმპერიას შეშურდებოდა. სპორტსმენები კიდევ გასაგებია, მაგრამ სოკ-ის სპონსორთა სარეკლამო ხუშტურების გამო უბრალო მაყურებელიც დაზარალდება. ასე მაგალითად, სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მხოლოდ მაკდონალდსის წარმოების საკვების ჭამა შეიძლება. სტადიონზე სპონსორთა კონკურენტი ფირმების ლოგოთი დამშვენებული ნივთების შეტევა აკრძალულია. ხელში პეპსის ბოთლი თუ გიჭირავთ, სტადიონზე არ შეგიშვებენ, თქვენს მაისურაზე აკრძალული ფირმის წარწერა თუ აღმოაჩინეს, ან უნდა გაიხადოთ, ან უკუღმა ჩაიცვათ. ანგარიშსწორებას კი მხოლოდ, VISA-ს საკრედიტო ბარათით შეძლებთ.

ვინ ეკითხება მავანს, მე მაისურაზე რა მაწერია, კონტრაქტი ხომ არ მაქვს გაფორმებული ამა თუ იმ ფირმასთან...

რას იზამ, რაც სპორტში დიდი ფული ჩაიდო, ბევრი ნეგატიური ამბის მოთმენა გვიწევს.

# მიზეზი დასალევად

## დიონისეს სამშობლოში ნაბახუსევს არ უშვებენ

**დიდხანს** ნატრობდა ლატვიელ ველომრბოლელთა მწვრთნელი გინტისა ბიტიტისა ოლიმპიადაზე მოხვედრას და შეგირდების გამრჯე შრომის წყალობით მოიპოვა კიდეც ათენის საგზური. დადგა ნანატრი დროც და გინტისა პრაღისკენ გასაფრენად მოემზადა, რათა იქიდან მეორე თვითმფრინავში გადამჯდარს საბერძნეთისკენ აეღო გეზი. თვითმფრინავში ერთი ბოთლი არყის გარეშე აბა, ვინ გინახავთ ჩამჯდარიყო და ლატვიელმაც რუსულად მოულხინა. პრაღაში ისეთი ჩავიდა, უკვე შეხარხოშებულიც აღარ ეთქმოდა... აეროპორტის პერსონალმა რომ დაინახა, კაცი ენას პირში ვერ ატრიალებდა, ათენის თვითმფრინავში ჩაჯდომა აუკრძალა.

იმ ღამეს სადღაც დაკარგულა და მეორე დღეს, ნაბახუსევზე, ისევ ეწვია აეროპორტს, სადაც ცუდი ამბავი დახვდა. ლატვიის ოლიმპიურმა კომიტეტმა არასპორტული საქციელისათვის აკრედიტაცია გაუუქმა და პატივცემული ბიტიტისა ოლიმპიადის გარეშე დატოვა. ესეც კიდევ ერთი მიზეზი დასალევად, ახლა უკვე ნაღველის გასაქარვებლად.

# დიდება მეფეს!

## სტუმრად საკუთარ სახლში

**საბერძნეთის** ყოფილი მეფე კონსტანტინე 45 წლის განმავლობაში არ ყოფილა სამშობლოში, ახლა კი აკროპოლისიც მოინახულა და იქ ოლიმპიურ ჩირაღდნის ჩატანასაც დაესწრო. გარდა გვარიშვილობისა, კონსტანტინე იმითაც გამოირჩევა, რომ აფროსნობაში ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ, 1974 წლიდან კი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საპატიო წევრიცაა.

იგი საპრეზიდენტო სასახლეშიც მიიპატიჟეს, რომელიც ოდესღაც მისი ოჯახის სამეფო კუთვნილება ყოფილა.

**ლადო ჭულუკიძე**



# ბიჭის მადრიდში წავიდა
## რეალმა ოუენი მოთაფლა

„ლივერპულის“ მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი მაიკლ ოუენზე, უკვე როგორც მადრიდის „რეალში“ გადასულ ფეხბურთელზე ლაპარაკობს. ბენიტესმა BBC-ის განუცხადა: „მაიკლ ოუენი მადრიდში სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ „სამეფო კლუბთან“ კონტრაქტს გააფორმებს. მე ძალიან მინდოდა, დარჩენილიყო, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მას ვეღარ გაყიდდნენ, რადგან კონტრაქტი უმთავრდებოდა, ახალშეთავაზებულს კი ხელი არ მოაწერა. „რეალმა“ ოუენის აგენტი ისე მოთაფლა, რომ ფეხბურთელმა აქ გაჩერება აღარ ისურვა. სანაცვლოდ მიღებულ ფულს გუნდისთვის გამოვიყენებთ. მაიკლს არაერთხელ ვესაუბრე და პატივს ვცემ მის არჩევანს“.

მადრიდის რეალი 12 მილიონ ევროს გადაიხდის და თან 25 წლის ნახევარმცველ ანტონიო ნუნიესს „ლივერპულში“ გაუშვებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვიეირა არსენალში დარჩა



ფრანგი პატრიკ ვიეირასა და მადრიდის „რეალის“ სასეზონთაშორისო ტრფიალი უიმედოდ ჩაიფერფლა. გუშინ „არსენალის“ კაპიტანმა საკუთარ საინტერნეტო ვებ-გვერდზე გულშემატკივრებს „ჰაიბერიზე“ დარჩენის სასიხარულო ამბავი ამცნო.

„მე თამაშს მომავალ სეზონშიც „ჰაიბერიზე“ გავაგრძელებ. მართალია, ზაფხულში „რეალში“ გადასვლა მინდოდა, მაგრამ „არსენალი“ ჩემი ცხოვრების გუნდია და ამ კლუბთან კავშირის გაწყვეტა უკიდურესად რთული იქნებოდა“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფლორენტინო პერესის ვიეირასადმი ინტერესი დაჩრდილა თავად ფეხბურთელის „მეთოფეთა“ მიმართ მოწიწებულმა ერთგულებამ. ესპანურ მედიაში გამოქვეყნებული ბოლო ცნობების მიხედვით, „არსენალი“ თავისი კაპიტნის სანაცვლოდ 37 მილიონ ევროს ითხოვდა, თითქოს მადრიდელებიც ჯიბის შემსუბუქებაზე ყაბულს იყვნენ, მაგრამ ეტყობა, საბოლოოდ ამ ტრანსფერის გამო დაქანცულმა სენიორ ფლორენტინომ ფრანგის შეძენაზე უარი განაცხადა. ჩაფარცხული საქმის უკან კი უამრავი უხერხული ეპიზოდი რჩება, მაგალითად — ვიეირასა და „არსენალის“ მწვრთნელის მწარე დაპირისპირება „რეალის“ გამო, თუმცა არა უშავს, მადრიდს ახალი „ელ გალაქტიკო“ (ლივერპულელი მაიკლ ოუენი) უკვე ნაშოვნი ჰყავს, პატრიკ ვიეირა კი როგორმე მოახერხებს, არსენ ვენგერს კვლავინდებურად ფრანგული უშუალობით დაჰკრას მხარზე ხელი...

**ლადო ხომერიკი**

# მახრჩობელა ბიომე
## პოლიციამ აპატია, შალკემ არა

„შალკეს“ ნახევარმცველ იორგ ბიომეს კლუბი 10 ათასი ევროთი დააჯარიმებს. გასულ უქმეებზე „ვერდერთან“ მატჩის შემდეგ ფეხბურთელს მუცლის ტკივილი მოუმიზეზებია და ვარჯიშიდან წასულს ბილეფილდის ერთ-ერთ დისკოთეკაზე გაულაღია. ბიომემ ალბათ ლუდიც შეიშხაპუნა და შეზარხოშებული მავან შტეფან გ-ს ახრჩობდა. დაზარალებულმა პოლიციაში იჩივლა და მახრჩობელაც დაიბარეს. ბიომე და მომჩივანი მორიგდნენ, საქმეც შეწყდა, მაგრამ ფეხბურთელს კლუბმა არ აპატია დისკოთეკაზე გრიალი. რუდი ასაუერმა თქვა, ეს უკვე მესამე შემთხვევაა და ჯიბეს 10 ათასი ევროთი შევუთხელებთო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

# ჰანოვერს ხვ დაელოდებით

| II ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| მაინცი | : | ჰამბურგი |
| ბაიერნი | : | ჰერტა |
| ჰანოვერი | : | არმინია |
| გლადბახი | : | დორტმუნდი |
| ჰანზა | : | ვერდერი |
| შალკე | : | ლაუტერნი |
| ნიურნბერგი | : | შტუტგარტი |
| **ხვალ** | | |
| ვოლფსბურგი | : | ფრაიბურგი |
| ბოხუმი | : | ლევერკუზენი |

ჩემპიონი „ვერდერი“ როსტოკის „ჰანზას“ ესტუმრება. ბრემენელებს პირველ ტურში „შალკესთან“ უაილტონობა არ დასტყობიათ. დღეს თომას შააფის გუნდი სავარაუდოდ, ანგელოს ხარისტეასის და ვალდესის წყვილით შეუტევს. ხარისტეასმა საბოლოოდ მოიშუშა ტრავმა და მწვრთნელს მისი ძალიან ეიმედება, ხოლო ვალდესი ის კაცია, ერთი კვირის წინ „შალკეს“ გამარჯვების გოლი რომ გაუტანა.

მიუნხენის „ბაიერნი“ და მისი ლიდერი სებასტიან დაისლერი ბერლინის „ჰერტას“ დაუხვდებიან. ფელიქს მაგათის გუნდი შესანიშნავ ფორმაშია და, ცხადია, სამ ქულას გეგმავს მეტოქესთან, რომელმაც გასულ შაბათს „ბოხუმთან“ ორბურთიანი უპირატესობა გაანიავა.

ერთი კვირის წინ შინ „ნიურნბერგისგან“ ნაგვემი „კაიზერსლაუტერნი“ გელზენკირხენს ეწვევა. ამ ზაფხულს აილტონით გამდიდრებული „შალკე“ პირველივე ტურში „ვერდერთან“ დამარცხდა და ახლა დაჩაჩანაკებულ მოწინააღმდეგესთან გამარჯვებას ეცდება. აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე „კაიზერსლაუტერნს“ გელზენკირხენიდან ორად ორი ქულა აქვს წაღებული.

დებიუტანტი „მაინცი“ პირველ ბუნდესლიგურ მატჩში „შტუტგარტთან“ კი დამარცხდა, მაგრამ ორი გოლის გატანა მოახერხა და „ჰამბურგს“ იმედიანად დაუხვდება. კლაუს ტოპმიოლერს კოლინ ბენჟამინი დაუშავდა. ნამიბიელ ნახევარმცველს ვარჯიშზე ხელი მოტყდა და გუნდს ექვსი კვირით გამოაკლდა. მის ნაცვლად კრისტიან რანი ითამაშებს.

ბერტ ვან მარვიიკის „დორტმუნდი“ მიონხენგლადბახში „ბორუსიას“ ეწვევა. პირველ ტურში შინ „ვოლფსბურგთან“ დაჩოქებული დორტმუნდელები დღეს სეზონში პირველი ქულის მითვლას ეცდებიან. მასპინძლებს ტრავმამოშუშებული ნახევარმცველი პეერ კლუგე დაუბრუნდათ, ხოლო ბრაზილიელი მცველი მარსელო პლეტჩე „არმინიასთან“ მატჩში გააძევეს და დასჯილია.

„ნიურნბერგს“ კარგი ბუნდესლიგური დასაწყისის შემდეგ გამოცდის ჩაბარება „შტუტგარტთან“ მოუწევს. აღსანიშნავია, რომ ნიურნბერგელებს ბოლო სამ სეზონში „შტუტგარტი“ შინ არ დაუმარცხებიათ, თუმც სამაგიეროდ, სტუმრად ამწარებენ მეტოქეს.

„ლევერკუზენმა“ ჩეხური „ბანიკი“ გაანადგურა ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩში. იმ შეხვედრაში ჰეთ თრიქის შემსრულებელი ბრაზილიელი ფრანცა ახლა „ბოხუმს“ ემუქრება. ბოხუმელი პაულ ფრაიერი ამ ზაფხულს გადაბარგდა „ლევერკუზენში“ და ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ თამაში მოუწევს. აქვე ვთქვათ, რომ „ლევერკუზენმა“ 2001 წლის შემდეგ „ბოხუმთან“ ზედიზედ ხუთი მატჩი წააგო. სტუმრებს ნახევარმცველი დაინელ ბიროფკა ჰყავთ ტრავმირებული.

„ფრაიბურგს“, რომელიც ვოლფსბურგში „მგლებს ეწვევა, ერთბაშად ხუთი დაშავებული ფეხბურთელი გამოუკეთდა. მათ წინა ტურში „ჰანზასთან“ არ უთამაშიათ და სავარაუდოდ, „ვოლფსბურგთან“ გამოჩნდებიან. აი, ხუთეული: მცველი ბუბაქარ დიარა, ნახევარმცველები როდა ანტარი, სომაილა კულიბალი და ორი ფორვარდი — ელერი კაისო და ვილფრედ სანუ.

ბოლოს კი გეტყვი, რომ „ჰანოვერი“ — „არმინიას“ მატჩი 15 სექტემბრისთვის გადაიდო, რადგან ჰანოვერში სტადიონის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს.



ფელიქს მაგათმა და სებასტიან დაისლერმა „ბაიერნს“ ხელი დაატყვეს



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი. პრემიერლიგა 2004-2005

# რაც გვინახავს, ვეღარ ვნახავთ









## პრემიერლიგის პრემიერები

*დღეს პრემიერლიგა იწყება და ხმაურიც ბევრია. სამწუხაროდ, ამ განთქმულ შეჯიბრს დაჩვეული ქართველი ფეხბურთის მოყვარულები წლეულს ხახამშრალნი დავრჩით — ინგლისური რეპორტაჟები არ იქნება ჩვენთვის თვალმისაწვდენი არცერთ ქართულ და რუსულ არხზე. ამის მიზეზი ალბათ ისაა, რომ პრემიერლიგის რეპორტაჟები გაძვირებულა. ერთადერთი სამოლოდინო ვარიანტი ისაა, რომ იანვრიდან ნახევარი პრემიერლიგა შეიძინოს რუსულმა „ენტევე ფუტბოლმა", რომელსაც ადრეც მოუხერხებია მსგავსი რამ ესპანეთის ლიგის შემთხვევაში. სხვაფრივ კი განთქმული სლოგანი — ინგლისელი ლომების შერკინება მზეზე— აღარ იარსებებს*

თუმცა, ინგლისელი (და არა მარტო ინგლისელი) ლომები ჩვენი მახვილი თვალის გარეშეც შეერკინებიან ერთმანეთს და ის ნამდვილი თამაშიც გახურდება, მხოლოდ კუნძულზე რომ იციან.

ბოლო წლების ამბავი ინგლისში ისე მიდის, რომ ჩემპიონობისთვის ორი გუნდი, „არსენალი" და „მანჩესტერი" იბრძვიან და ჩემპიონიც ხარ ერთია, ხან მეორე. შარშან თითქოს „ჩელსიც" გაერია ამ საქმეში, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა. „მანჩესტერი" ვერ იყო საჩემპიონო, აბრამოვიჩის გუნდმა კი ეგრეც ვერ გაუწია სათანადო მეტოქეობა „მეთოფეებს".

თუმცა წლეულს ვითარება მაინც შეცვლილია. ამ ორთან ერთად „ჩელსი" კვლავაც იბრძოლებს ჩემპიონობისთვის, ოღონდ სულ სხვა პოზიციიდან — განახლებული გუნდით და უკიდეგანოდ ამბიციური მენეჯერით, ჟოზე მაურინიუთი, რომელიც თავისი ტრაბახით ყველას აღიზიანებს და რომელსაც ყველა უფრთხის.

ჩრდილოეთში ახალი „ლივერპულის" შენებას იწყებს რაფაელ ბენიტესი და იქაც არავინ მალავს, რომ მერსისაიდის ნახევარი ჩემპიონობას ელის. მაურინიუმ უეფას და ჩემპიონთა თასები მოაგებინა ისედაც ქვეყნის ჩემპიონ „პორტუს", ბენიტესმა კი გასულ სეზონში „ვალენსია" გახადა ესპანეთის ჩემპიონი და უეფას თასის მფლობელი.

ეს შთამბეჭდავია, მაგრამ პრემიერლიგა პრემიერლიგაა. რამდენი ხანია არ წაუგია „არსენალს"? კლუბმა პატრიკ ვიეირაც შეინარჩუნა და იმასაც ამბობენ, რომ ხოსე ანტონიო რეიესი წლეულს პრემიერლიგას დაიპყრობს. თუმცა, ისიც თვალშისაცემია, რომ „მანჩესტერი" და „ჩელსი" შარშანდელივით არ მიუშვებენ ალვირს. მე რომ მკითხოთ, ვიეირას წასვლა „არსენალს" ხეირს არ დააყრიდა. მართალია, „მეთოფეებმა" მის გარეშეც მოიგეს შარშან ცხრა თამაში, მაგრამ არსენ ვენგერს ფრანგი ძალიან უღირს. პრემიერლიგას მიჩვევა, შიგ გათქვეფა და სხვანაირი გარკვევა უნდა. „ჩელსის" და „ლივერპულის" ახალწვეულ მოძღვარ-შეგირდთა მთავარი გასაჭირიც ალბათ აქ იმალება.

ასე კი, ჩემპიონატის დასაწყისისთვის ფავორიტი „არსენალია". პრემიერლიგის სიმბოლოს, „მანჩესტერს" წლეულს არანაკლები სიმძიმის სეზონი ექნება. წავიდა ის დრო, როცა „იუნაიტედი" უპირობო ლიდერი იყო. საჭიდაო ძალიან ბევრი იქნება, მაგრამ სერ ალექსს აშკარად უკეთესი გუნდი ეყოლება. ალან სმიტი ძალიან კარგი შენაძენია, თუმცა, ვიეირა რომ გაეყიდათ, „მანჩესტერში" უფრო გაეხარდებოდათ.

„ლივერპული" მაიკლ ოუენს შეელია. ეს სრულ განახლებას ნიშნავს. „კოპის" სურვილი ერთია, ნამდვილი საქმე კი მეორე. თუ „მეთოფეებთან" მოჭიდავეებზეა ლაპარაკი, მაინც „ჩელსი" და „მანჩესტერი" უნდა ვიგულისხმოთ. თავის მხრივ, მაურინიუ ახალი კაცი კია პრემიერლიგაში, მაგრამ მას ევროპის მთავარი თასი აქვს მოგებული, ხოლო კლაუდიო რანიერის რამდენიმე მოულოდნელი გადაწყვეტილება რომ არ მიელო, ჩემპიონთა თასს ვინძლო „ჩელსი" დაუფლებოდა. ასე რომ, ამ გუნდში უკვე დევს განსაკუთრებული საერთაშორისო პოტენციალი.

„ჩელსიმ" 44 მილიონი გირვანქა გადაიხადა დიდიე დროგბასა და რიკარდუ კარვალიუში. ამ ფეხბურთელებს სერ ალექსი და არსენ ვენგერიც სიამოვნებით იყიდდნენ, მაგრამ ისინი ასეთ ფულს არ იხდიან. სერ ალექსი არასოდეს მალავს, რომ მისთვის მთავარი პრემიერლიგაა და არა ევროპა. ეს პრიორიტეტი წლეულს განსაკუთრებით მძაფრია. „მანჩესტერი" შემადგენლობით უკვე ჩამოუვარდება „ჩელსის" და „არსენალს", შარშანდელი სეზონის ბოლო თვენახევარი კი საზიზღრად ითამაშა. თუმცა, როგორც ვთქვით, მის მხარეს გამოცდილებაა. „ლივერპულს" რომ დავუბრუნდეთ, ის აშკარად უკეთესი იქნება.



„არსენალ" — „მანჩესტერის" საამსეზონო პირველი შეხლა ლონდონელებმა მოიგეს. ინგლისის სუპერთასისთვის ბრძოლაში ხოსე ანტონიო რეიესმა (მარცხნივ) გაიბრწყინა

ცოტა ქვემოთ ჩავიდეთ და ამ ოთხეულის მარადი მადევარი გავიხსენოთ, „ნიუკასლს" უკვე ჰყავს პატრიკ კლუივერტი, ნიკი ბათი და საუცხოო თინეიჯერი ჯეიმს მილნერი. ოღონდ ეს არის, რომ კლუბი კონტრაქტს აღარ გაუგრძელებს მენეჯერს და გამოდის, რომ სერ ბობი რობსონს გამოსათხოვარი სეზონი აქვს. რაც გინდა თუ არა, მასზეც იმოქმედებს და გუნდზეც.

საშუალოთა მთელ წყებაში აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ „ასტონ ვილა". დევიდ ოლირიმ უკვე გააკეთა ბევრი რამ და მისი გუნდიც უკეთესი იქნება. თუ შემადგენლობა ეყოფა, ოლირი ევებ ჩემპიონთა ლიგისთვისაც კი გაიქაჩოს.

თითქოს ახლდება „ტოტენჰემი", კვლავაც კარგია „ბოლტონი" და „ჩარლტონი", ხმაურით ემზადება „მიდლსბრო". „ევერტონს" ჰყავს უეინ რუნი, რომელიც ჯერ ტრავმას იშუშებს. რუნი ალბათ გაიყიდება, „ევერტონს" ფული არა აქვს, ყრმა გენიოსის გარშემო გუნდის აშენებას ვერ მოახერხებს და რას მოახერხებს კევინ კიგანი „სიტიში"? კიგანი უილიამ ჰილის ფსონებში ფავორიტია მოსახსნელ მენეჯერთა სიაში (4-1-ზე), მას მოსდევენ ევერტონელი დევიდ მოიესი, „პორტსმუთის" ჰარი რედნაპი და „ბლექბერნის" გრემ სუნესი.

გასავარდნთა სამეულში კი, ცხადია, ახალმოსული „კრისტალ პალასი", „ვესტ ბრომვიჩი" და „ნორვიჩი" უნდა ვიგულისხმოთ, თუმცა არც „ევერტონი" და „სიტი" იქნებიან ცხრილის კუდიდან შორს. მაგრამ ერთიც ვნახოთ და კიგანმა კარგად დაიწყო...

ვნახოდ და ვნახოთ... თუმცა, ჩვენ რაღას ვნახავთ. ჩვენს ტელევიზორებში პრემიერლიგა აღარ არის.

**ირაკლი გამყრელიძე**

# მონაწილეთა განაცხადები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არსენალი

### მეკარეები
- 1 იენს ლემანი
- 13 სტიუარტ ტეილორი
- 24 მანუელ ალმუნია

### მცველები
- 3 ეშლი კოული
- 12 ლორენ ეტამაიერი
- 18 პასკალ სიგანი
- 20 ფილიპ სენდეროსი
- 22 გაელ კლიში
- 23 სოლ კემპბელი
- 28 კოლო ტურე
- 31 ჯასტინ ჰოიტი
- 32 სებასტიან სვარდი

### ნახევარმცველები
- 4 პატრიკ ვიეირა
- 7 რობერ პირესი
- 8 ფრედერიკ ლიუნგბერგი
- 11 რობინ ვან პერსი
- 15 ფრანსისკ ფაბრეგასი
- 16 მეთიუ ფლამინი
- 17 ედუ
- 19 ჟილბერტო სილვა
- 21 ჯერმენ პენანტი

### თავდამსხმელები
- 9 ხოსე ანტონიო რეიესი
- 10 დენის ბერხკამპი
- 14 ტიერი ანრი
- 30 ჟერემი ალიადიერი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

## ჩელსი

### მეკარეები
- 1 პეტრ ჩეხი
- 23 კარლო კუდიჩინი
- 40 ლენი პიდგელი
- 50 ივ მაკაბა-მაკალამბეი

### მცველები
- 2 გლენ ჯონსონი
- 3 სელესტინ ბაბაიარო
- 6 რიკარდუ კარვალიუ
- 13 უილიამ გალასი
- 18 უეინ ბრიჯი
- 20 პაულუ ფერეირა
- 26 ჯონ ტერი
- 29 რობერტ ჰუთი

### ნახევარმცველები
- 4 კლოდ მაკელელე
- 5 ალექსეი სმერტინი
- 8 ფრენკ ლამპარდი
- 10 ჯო კოული
- 11 დემიენ დაფი
- 14 ჯერემი ნჯიტაპი
- 16 არიენ რობენი
- 19 სკოტ პარკერი
- 30 ტიაგუ მენდეში
- 41 კრეიგ როკესტლი

### თავდამსხმელები
- 7 ადრიან მუტუ
- 9 მატეა კეჟმანი
- 15 დიდიე დროგბა
- 22 ეიდურ გუდიონსენი

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

## მანჩესტერ იუნ.

### მეკარეები
- 1 ტიმ ჰოვარდი
- 13 როი კეროლი
- 30 ლუკ სტილი
- 35 რიკარდო ლოპესი
- 38 თომას ჰიტონი

### მცველები
- 2 გარი ნევილი
- 3 ფილ ნევილი
- 4 გაბრიელ ჰაინცე
- 5 რიო ფერდინანდი
- 6 უესლი ბრაუნი
- 22 ჯონ ოში
- 26 ფილიპ ბერდსლი
- 27 მიკაელ სილვესტრი
- 29 ჯონათან სპექტორი
- 34 პოლ მაკშეინი

### ნახევარმცველები
- 7 კრისტიანო რონალდო
- 11 რაიან გიგზი
- 15 კლებერსონი
- 16 როი კინი
- 17 ლაიამ მილერი
- 18 პოლ სქოულზი
- 19 ერიკ ჯემბა-ჯემბა
- 23 კირან რიჩარდსონი
- 24 დარენ ფლეტჩერი
- 25 კვინტონ ფორჩუნი
- 31 დევიდ ჯოუნსი
- 32 ბოჟან ჯორდიჩი
- 33 კრის იგლსი
- 39 პოლ ტიპნი

### თავდამსხმელები
- 9 ლუი საა
- 10 რუუდ ვან ნისტელროი
- 12 დავიდ ბელიონი
- 14 ალან სმიტი
- 20 ოლე გუნარ სოლსკიაერი
- 21 დიეგო ფორლანი
- 37 კენი კუპერი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

## ლივერპული

### მეკარეები
- 1 ირჟი დუდეკი
- 22 კრის კირკლანდი
- 29 პატრის ლუზი
- 40 პოლ ჰარისონი

### მცველები
- 2 სტეფან ანშო
- 3 სტივ ფინანი
- 4 სემი ჰიიპია
- 17 ხოსემი
- 21 ჯიმი ტრაორე
- 25 იგორ ბიშკანი
- 36 ჯონ ოტსემობორი
- 37 ზაკ უიტბრიდი

### ნახევარმცველები
- 6 იონ არნე რიისე
- 7 ჰარი კიუელი
- 8 სტივენ ჯერარდი
- 11 ვლადიმირ შმიცერი
- 15 სალიფ დიაო
- 16 დიტმარ ჰამანი
- 18 ანტონიო ნუნიესი
- 23 ჯეიმი კარაგერი
- 26 რიჩი პარტრიჯი
- 28 სტივენ უორნოკი
- 32 ჯონ ველში
- 34 დარენ პოტერი

### თავდამსხმელები
- 5 მილან ბაროში
- 9 ჯიბრილ სისე
- 19 ელ-ჰაჯი დიუფი
- 24 ფლორენ სინამა-პონგოლე
- 33 ნილ მელორი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი



პატრიკ კლუივერტი ბობი რობსონის „ნიუკასლში“ დაბინავდა

## ნიუკასლი

### მეკარეები
- 1 შეი გივენი
- 12 სტივენ ჰარპერი
- 24 ტონი კეიგი
- 33 ადამ კოლინი

### მცველები
- 2 სტივენ კარი
- 3 რობი ელიოტი
- 5 ენდი ობრაიენი
- 18 აარონ ჰიუზი
- 19 ტიტუს ბრამბლი
- 27 ჯონათან ვუდგეიტი
- 35 ოლივიე ბერნარი
- 38 სტივენ ტეილორი

### ნახევარმცველები
- 4 ნიკი ბათი
- 7 ჯერმენ ჯენასი
- 8 კირონ დაიერი
- 16 ჯეიმს მილნერი
- 17 დარენ ამბროზი
- 22 ჯეიმი მაკკლენი
- 29 ლი ბოიერი
- 32 ლორან რობერი
- 39 მარტინ ბრიტეინი

### თავდამსხმელები
- 9 ალან შირერი
- 10 კრეიგ ბელამი
- 11 პატრიკ კლუივერტი
- 23 შოლა ამეობი
- 28 მაიკლ ჩოპრა

მწვრთნელი: ბობი რობსონი

## ასტონ ვილა

### მეკარეები
- 1 თომას სორენსენი
- 13 სტეფან პოსტმა
- 25 უეინ ჰენდერსონი

### მცველები
- 2 მარკ დილანი
- 3 ჯლოიდ სამუელი
- 4 ოლოფ მელბერგი
- 5 მარტინ ლაურსენი
- 6 გარეთ ბერი
- 15 ულისეს დე ლა კრუზი
- 19 ლაიამ რიდგუელი
- 20 ვაცლავ დრობნი

### ნახევარმცველები
- 7 ლი ჰენდრი
- 8 გევინ მაკკანი
- 11 ნოლბერტო სოლანო
- 12 თომას ჰიცლშპერგერი
- 16 მეთიუ ბერსონი
- 17 პეტერ უიტინგემი
- 24 სტივენ დევისი
- 26 სტივენ მური

### თავდამსხმელები
- 9 ხუან პაბლო ანხელი
- 10 დარიუს ვასელი
- 14 მარკუს ოლბოკი
- 18 კარლტონ კოული
- 22 ლუკ მური

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

## ჩარლტონი

### მეკარეები
- 1 დინ კაილი
- 16 სტეფან ანდერსენი
- 25 საიმონ როისი
- 26 პოლ რაჩუბკა

### მცველები
- 2 ლუკ იანგი
- 3 კრის პაუელი
- 5 კრის პერი
- 6 მარკ ფიში
- 7 რადოსტინ კიშიშევი
- 12 ჰერმან ჰრეიდარსონი
- 15 ტალალ ელ-კარკური
- 18 პოლ კონჩესკი
- 23 მაიკლ ტერნერი
- 24 ჯონ ფორჩუნი
- 28 ოსეი სანკოფა

### ნახევარმცველები
- 4 გრემ სტიუარტი
- 8 მეტ ჰოლანდი
- 13 დენი მერფი
- 19 დენის რომედალი
- 20 ბრაიან ჰიუზი
- 21 ჯონათან იოჰანსონი
- 22 ჯამალ კემპბელი
- 29 ნილ მაკკაფერტი
- 30 სტეისი ლონგი
- 31 ლოიდ სემი

### თავდამსხმელები
- 9 ჯეისონ იუელი
- 10 კევინ ლისბი
- 11 ფრენსის ჯეფერსი
- 14 ჟერომ ტომა
- 17 შონ ბარტლეტი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

## ბოლტონი

### მეკარეები
- 1 კევინ პულე
- 22 ჯუსი იასკელაინენი

### მცველები
- 2 ენტონი ბერნესი
- 3 ჟულიო სეზარი
- 5 ბრუნო ნგოტი
- 15 რადი ჯაიდი
- 17 ფლორენ ლავილი
- 18 ნიკი ჰანტი
- 20 ფერნანდო იერო
- 26 ტალ ბენ-ჰაიმი
- 31 ჩარლი კომინ-პლატი
- 32 ჯეისონ ტელბოტი

### ნახევარმცველები
- 4 კევინ ნოლანი
- 6 გარი სპიდი
- 7 სტელიოს იანაკოპულოსი
- 10 ჯეი-ჯეი ოკოჩა
- 11 რიკარდო გარდნერი
- 14 იური ჯორკაეფი
- 16 ივან კამპო
- 30 რიკი შეიკსი

### თავდამსხმელები
- 8 მაიკლ ბრიჯისი
- 9 ჰენრიკ პედერსენი
- 23 ლეს ფერდინანდი
- 28 რიკარდო ვაზტე

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

## ფულემი

### მეკარეები
- 1 ედვინ ვან დერ სარი
- 12 მარკ კროსლი
- 13 როს ფლიტნი

### მცველები
- 2 მორიც ვოლცი
- 3 კარლოს ბოკანეგრა
- 6 ზეტ ნაითი
- 18 ჟერომ ბონისელი
- 21 ჟეშან რეჰმანი
- 22 დინ ლიკოკი
- 24 ალენ გომა
- 30 ადამ გრინი
- 35 იან პირსი
- 37 ლაიამ როსენიორი

### ნახევარმცველები
- 4 სტიდ მალბრანკი
- 5 სილვენ ლეგვინსკი
- 7 მარკ პემბრიჯი
- 10 ლი კლარკი
- 14 პაპე ბუბა დიოპი
- 20 კლაუს იენსენი
- 25 მალიკ ბუარი
- 29 შონ დოჰერტი
- 31 დარენ პრეტლი
- 36 ბილი მაკკინლი

### თავდამსხმელები
- 8 ბრაიან მაკბრაიდი
- 9 ენდი კოული
- 11 ლუიშ ბოა მორტე
- 15 კოლინზ ჯონი
- 17 ტომაშ რაძინსკი
- 19 ელვის ჰემონდი
- 26 ფაკუნდო სავა
- 33 სტიუარტ ნობლი

მწვრთნელი: კრის კოულმენი

## ბირმინგემი

### მეკარეები
- 1 მაიკ ტეილორი
- 12 იან ბენეტი
- 13 კოლინ დოილი
- 18 ნიკო ვესენი

### მცველები
- 2 ოლივიე ტებილი
- 3 ჯეიმი კლეპამი
- 4 კენი კანინგემი
- 5 მეთიუ აპსონი
- 15 მარტინ ტეილორი
- 20 მარტინ გრეინჯერი
- 23 მეთიუ სადლიერი
- 29 მარიო მელხიოტი

### ნახევარმცველები
- 6 მაზი იზეტი
- 7 იესპერ გრონკიაერი
- 8 რობი სევიჯი
- 10 დევიდ დანი
- 11 სტენ ლაზარიდისი
- 17 ნილ კილკენი
- 21 ჯულიან გრეი
- 22 დემიენ ჯონსონი
- 24 დარენ კარტერი
- 25 სტივენ კლემენსი
- 28 კარლ მოტერამი
- 32 დარენ ანდერტონი

### თავდამსხმელები
- 9 მიკაელ ფორსელი
- 14 სტერნ ჯონი
- 16 ემილ ჰესკი
- 19 კლინტონ მორისონი
- 27 ენდრიუ ბაროუმენი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

# მონაწილეთა განაცხადები

## მიდლსბრო

**მეკარეები**
1 მარკ შვარცერი
12 კარლო ნეში
22 ბრედლი ჯოუნსი
36 როს ტარნბალი

**მცველები**
2 მიხაელ რაიციგერი
3 ფრანკ კედრუ
4 უგო ეჰიოგუ
5 კრის რიგოტი
6 გარეთ საუთგეიტი
24 ენდრიუ დევისი
28 კოლინ კუპერი
31 ენდრიუ ტეილორი
| 22.00 | 547 | ფერენცვაროში-დიოშდიორი | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |
| 22.00 | 548 | სოპრონი-კაპოშვარი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 22.00 | 549 | ვაშაში-ნირედიჰაზა | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| | | **15 აგვისტო** | | | | | | |
| 13.00 | 550 | ტატაბანია-ვიდეოტონი | 2,25 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,26 | 1,49 |
| 22.00 | 551 | პეჩი-ჰონვედი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| | | **ბრაზილია. სერია A. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 570 | ინტერნასიონალი-ფიგეირენსე | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 23.00 | 571 | ჟ'უვენტ'უდი-კრ'უზეირო | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 01.00 | 572 | კორინთიანსი-პონტე პრეტა | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1.6 |
| 01.00 | 573 | ფლამენგო-გრემიო | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| | | **15 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 574 | ფლ'უმინენსე-პაისანდ'უ | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 23.00 | 575 | გოიასი-ბოტაფოგო | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 23.00 | 576 | გუარანი-კ'ურიტიბა | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,32 | 1,26 | 1,47 |
| 23.00 | 577 | კრიკიუმა-ვასკ'უ და გამა | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 23.00 | 578 | ატლეტიკო მნ-პალმეირასი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 24.00 | 579 | ვიტორია-სან კაეტანო | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 01.00 | 580 | სანტოსი-პარანა | 1,2 | 4,8 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,13 |
| 01.00 | 581 | ატლეტიკო პრ-სან პა'ულ'უ | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| | | **არგენტინა. აპერტურა. I ტური** | | | | | | |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 586 | არსენალი-როსარიო | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 01.35 | 587 | კილმესი-ინდეპენდიენტე | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| 04.10 | 588 | სან ლორენსო-ოლიმპო | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| | | **15 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 589 | ესტ'უდიანტესი-ჰ'ურაკანი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 22.30 | 590 | ინსტიტ'უტო-ბანფილდი | 2,45 | 3,1 | 2,5 | 1,36 | 1,23 | 1,38 |
| 22.30 | 591 | ნი'უელზი-ველესი | 2,35 | 3,1 | 2,7 | 1,33 | 1,25 | 1,44 |
| 22.30 | 592 | ალმაგრო-ხიმნასია | 2,25 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,26 | 1,49 |
| 23.10 | 593 | რივერ პლეიტი-კოლონი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 01.30 | 594 | ლან'უსი-ბოკა ხ'უნიორსი | 4,0 | 3,3 | 1,75 | 1.8 | 1,21 | 1,14 |
| | | **ჩილე. კლა'უს'ურა. IV ტური** | | | | | | |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 02.05 | 614 | 'უნ.კატოლიკა-ტემ'უკო | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 23.30 | 615 | პ'უერტო მონტი-'უნ.ჩილე | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| | | **15 აგვისტო** | | | | | | |
| 23.30 | 610 | კოლო კოლო-კობრელოა | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 24.00 | 611 | კოკიმბო-კონსეპსიონი | 3,3 | 3,2 | 2,0 | 1,62 | 1,24 | 1,23 |
| 24.00 | 612 | ევერტონი-პალესტინო | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 23.30 | 613 | 'უაჩიპატო-'უონდერერსი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| 23.30 | 618 | სან ფელიპე-სერენა | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| | | **მექსიკა. აპერტურა. I ტური** | | | | | | |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 24.00 | 622 | ხაგ'უარესი-ტიგრესი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 02.05 | 623 | მორელია-პაჩ'უკა | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 04.00 | 624 | ჩივასი-ატლანტე | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 04.00 | 625 | მონტერეი-ვერაკრ'უსი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 05.30 | 626 | ნეკახა-ტოლ'უკა | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| | | **15 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 627 | ამერიკა-დორადოსი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 21.00 | 628 | პ'უმასი-ტეკოსი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 23.00 | 629 | პ'უებლა-კრ'უს ას'ული | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 01.00 | 630 | სანტოსი-ატლასი | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,21 | 1,67 |
| | | **აშშ. MLS** | | | | | | |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 24.00 | 637 | კანზასი-სან ხოსე | 1,7 | 3,2 | 4,6 | 1,11 | 1,24 | 1,88 |
| 03.30 | 638 | ვაშინგტონი-ნი'უ ინგლენდი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 04.30 | 639 | ჩიკაგო-კოლორადო | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 06.00 | 640 | ლოს ანჯელესი-კოლამბ'უსი | 1,7 | 3,2 | 4,6 | 1,11 | 1,24 | 1,88 |
| | | **15 აგვისტო** | | | | | | |
| 02.05 | 641 | ნი'უ იორკი-დალასი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იაპონია. ჯეი ლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 13.30 | 644 | იჩიჰარა-ჰიროსიმა | 1,65 | 3,3 | 4,6 | 1,1 | 1,21 | 1,92 |
| 13.30 | 645 | კაშიმა-კაშივა | 1,6 | 3,4 | 4,8 | 1,08 | 1,2 | 1,99 |
| 14.00 | 646 | ნაგოია-გამბა | 2,3 | 3,1 | 2,7 | 1,32 | 1,24 | 1,44 |
| 14.00 | 647 | ოიტა-ივატა | 2,9 | 3,1 | 2,2 | 1,49 | 1,25 | 1,28 |
| 14.00 | 648 | ვერდი-ნიიგატა | 1,85 | 3,2 | 3,5 | 1,17 | 1,21 | 1,67 |
| 14.00 | 649 | კობე-ურავა | 2,5 | 3,1 | 2,4 | 1,38 | 1,22 | 1,35 |
| 14.00 | 650 | ჩერეძო-ტოკიო | 2,8 | 3,1 | 2,25 | 1,47 | 1,24 | 1,3 |
| | | **15 აგვისტო** | | | | | | |
| 13.30 | 651 | შიმიცუ-იოკოჰამა | 3,4 | 3,2 | 1,9 | 1,64 | 1,21 | 1,19 |
| | | **იტალია. თასი. I ეტაპი** | | | | | | |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 17.00 | 710 | აველინო-სალერნიტანა | 2,5 | 2,8 | 2,5 | 1,32 | 1,25 | 1,32 |
| 17.00 | 711 | პიაჩენცა-ფიორენტინა | 2,7 | 2,8 | 2,4 | 1,37 | 1,27 | 1,29 |
| 17.00 | 712 | ჩეზენა-ლივორნო | 2,8 | 2,9 | 2,3 | 1,42 | 1,26 | 1,28 |
| 17.00 | 713 | ასკოლი-არეცო | 1,9 | 2,7 | 4,0 | 1,11 | 1,28 | 1,61 |
| 17.00 | 714 | პერუჯა-ტერნანა | 1,8 | 2,9 | 4,2 | 1,11 | 1,26 | 1,71 |
| 17.00 | 715 | კატანია-კატანძარო | 1,75 | 2,9 | 4,6 | 1,09 | 1,26 | 1,77 |
| 17.00 | 716 | ლუმეცანე-ტორინო | 3,8 | 2,8 | 1,9 | 1,61 | 1,26 | 1,13 |
| 17.00 | 717 | ემპოლი-ჯენოა | 2,0 | 2,8 | 3,6 | 1,16 | 1,28 | 1,57 |
| 17.00 | 718 | ვიჩენცა-ატალანტა | 2,4 | 2,8 | 2,7 | 1,29 | 1,27 | 1,37 |
| 17.00 | 719 | ალბინოლეფე-პრო პატრია | 1,4 | 3,5 | 7,0 | 1 | 1,16 | 2,33 |
| 17.00 | 720 | ვენეცია-ტრევიზო | 2,5 | 2,8 | 2,5 | 1,32 | 1,25 | 1,32 |
| 17.00 | 721 | მოდენა-ტრიესტინა | 1,95 | 2,9 | 3,5 | 1,16 | 1,25 | 1,58 |
| 17.00 | 722 | ბარი-მესინა | 3,1 | 2,8 | 2,2 | 1,47 | 1,28 | 1,23 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ნორვეგია. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 670 | ლინი-ჰამარი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 22.15 | 671 | ლილესტრომი-რუსენბორგი | 3,2 | 3,2 | 2,1[illegible] | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| | | **15 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 672 | სანდეფიორდი-სტაბეკი | 3,0 | 3,3 | 2,15 | 1.57 | 1,25 | 1,3 |
| 22.15 | 673 | ბრანი-ბრინი | 1,3 | 4,6 | 7,0 | 1,01 | 1,09 | 2,77 |
| | | **ფეხბურთი. ოლიმპიური თამაშები. ათენი** | | | | | | |
| | | **14 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 759 | არგენტინა-ტუნისი | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1.09 | 3.04 |
| 21.30 | 760 | საბერძნეთი-მალი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 21.30 | 761 | სერბია-ავსტრალია | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 21.30 | 762 | ს.კორეა-მექსიკა | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,57 | 1,26 | 1,25 |
| | | **15 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 763 | კოსტა რიკა-ერაყი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 21.30 | 764 | იაპონია-იტალია | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,46 | 1,16 | 1,02 |
| 21.30 | 765 | მაროკო-პორტუგალია | 4,0 | 3,3 | 1,75 | 1,8 | 1,21 | 1,14 |
| 21.30 | 766 | პარაგვაი-განა | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,32 | 1,26 | 1,47 |
| | | **კალათბურთი. ოლიმპიური თამაშები. ათენი** | | | | | | |
| | | **15 აგვისტო** | | | | | | |
| 10.00 | 1001 | ანგოლა-ლიტვა | 10,0 | 20,0 | 1,01 | 6,66 | 1 | 1 |
| 12.15 | 1002 | იტალია-ახალი ზელანდია | 1,15 | 10,0 | 3,6 | 1,03 | 1 | 2.64 |
| 15.30 | 1003 | ჩინეთი-ესპანეთი | 3,5 | 10,0 | 1,2 | 2,59 | 1 | 1,07 |
| 17.45 | 1004 | არგენტინა-სერბეთი | 1,8 | 10,0 | 1,8 | 1,52 | 1 | 1,52 |
| 21.00 | 1005 | პუერტო რიკო-აშშ | 10,0 | 20,0 | 1,01 | 6,66 | 1 | 1 |
| 23.15 | 1006 | საბერძნეთი-ავსტრალია | 1,25 | 10,0 | 3,1 | 1,11 | 1 | 2,36 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5001 | ტოტენჰემი-ლივერპული | 3,5 | 2,05 | 2,7 | 1,29 | 1,52 | 1,16 |
| 5002 | ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 2,15 | 2,1 | 5,0 | 1,06 | 1,5 | 1,47 |
| 5003 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 2,25 | 2,05 | 4,8 | 1,07 | 1,53 | 1,43 |
| 5004 | ბოლტონი-ჩარლტონი | 2,7 | 2,05 | 3,5 | 1,16 | 1,52 | 1,29 |
| 5005 | სიტი-ფულემი | 2,45 | 2,05 | 4,0 | 1,11 | 1,51 | 1,35 |
| 5006 | ნორვიჩი-კრისტალ პალასი | 2,4 | 2,05 | 4,2 | 1,1 | 1,52 | 1,37 |
| 5007 | პორტსმუთი-ბირმინგემი | 2,8 | 2,05 | 3,4 | 1,18 | 1,53 | 1,27 |
| 5008 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 2,9 | 2,05 | 3,3 | 1,2 | 1,54 | 1,26 |
| 5009 | ევერტონი-არსენალი | 5,0 | 2,1 | 2,15 | 1,47 | 1,5 | 1,06 |
| 5010 | ჩელსი-მანჩესტერი | 2,5 | 2,05 | 3,8 | 1,12 | 1.5 | 1,33 |
| 5014 | მაინცი-ჰამბურგი | 3,2 | 2,1 | 2,9 | 1,26 | 1.52 | 1,21 |
| 5015 | ბაიერნი-ჰერტა | 1,65 | 2,6 | 6,5 | 1 | 1,31 | 1,85 |
| 5016 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 3,0 | 2,1 | 3,1 | 1,23 | 1,52 | 1,25 |
| 5017 | ჰანზა-ვერდერი | 3,5 | 2,1 | 2,6 | 1,31 | 1,49 | 1,16 |
| 5018 | შალკე-კაიზერსლაუტერნი | 1,85 | 2,3 | 5,6 | 1,02 | 1,39 | 1,63 |
| 5019 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 3,4 | 2,1 | 2,7 | 1,29 | 1,5 | 1,18 |
| 5020 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 2,0 | 2,2 | 5,3 | 1,04 | 1,45 | 1,55 |
| 5021 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 3.0 | 2,1 | 3,1 | 1,23 | 1,52 | 1,25 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5401 | ტოტენჰემი-ლივერპული | 2,0 | 1,8 |
| 5402 | ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 1,55 | 2,5 |
| 5403 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 1,7 | 2,2 |
| 5404 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1,8 | 2,0 |
| 5405 | სიტი-ფულემი | 1,75 | 2,1 |
| 5406 | ნორვიჩი-კრისტალ პალასი | 1,7 | 2,2 |
| 5407 | პორტსმუთი-ბირმინგემი | 1,8 | 2,0 |
| 5408 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 1,85 | 1,95 |
| 5409 | ევერტონი-არსენალი | 2,5 | 1,55 |
| 5410 | ჩელსი-მანჩესტერი | 1,75 | 2,1 |
| 5414 | მაინცი-ჰამბურგი | 1,9 | 1,9 |
| 5415 | ბაიერნი-ჰერტა | 1,3 | 3,4 |
| 5416 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 1,9 | 1,9 |
| 5417 | ჰანზა-ვერდერი | 2,0 | 1,8 |
| 5418 | შალკე-კაიზერსლაუტერნი | 1,4 | 3,0 |
| 5419 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 2,0 | 1,8 |
| 5420 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 1,5 | 2,6 |
| 5421 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 1,9 | 1,9 |

| | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 | ტოტენჰემი-ლივერპული | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5102 | ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 5103 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5104 | ბოლტონი-ჩარლტონი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5105 | სიტი-ფულემი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5106 | ნორვიჩი-კრისტალ პალასი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5107 | პორტსმუთი-ბირმინგემი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5108 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5109 | ევერტონი-არსენალი | 7,5 | 10,0 | 20,0 | 8,5 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 5110 | ჩელსი-მანჩესტერი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5114 | მაინცი-ჰამბურგი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5115 | ბაიერნი-ჰერტა | 1,7 | 15,0 | 35,0 | 3,5 | 5,0 | 14,0 | 20,0 | 10,0 | 12.0 |
| 5116 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4.0 |
| 5117 | ჰანზა-ვერდერი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3.3 |
| 5118 | შალკე-კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5119 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5120 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5121 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5501 | ტოტენჰემი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5502 | ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | ბოლტონი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | სიტი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | ნორვიჩი-კრისტალ პალასი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | პორტსმუთი-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | ევერტონი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | ჩელსი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | მაინცი-ჰამბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ბაიერნი-ჰერტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | ჰანზა-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | შალკე-კაიზერსლაუტერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5301 | ტოტენჰემი-ლივერპული | 1,65 | 1,95 |
| 5302 | ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 1,75 | 1,85 |
| 5303 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 1,75 | 1,85 |
| 5304 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1,7 | 1,9 |
| 5305 | სიტი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5306 | ნორვიჩი-კრისტალ პალასი | 1,7 | 1,9 |
| 5307 | პორტსმუთი-ბირმინგემი | 1,7 | 1,9 |
| 5308 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 5309 | ევერტონი-არსენალი | 1,75 | 1,85 |
| 5310 | ჩელსი-მანჩესტერი | 1,65 | 1,95 |
| 5314 | მაინცი-ჰამბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5315 | ბაიერნი-ჰერტა | 1,75 | 1,85 |
| 5316 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 1,65 | 1,95 |
| 5317 | ჰანზა-ვერდერი | 1,65 | 1,95 |
| 5318 | შალკე-კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 1,9 |
| 5319 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 5320 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 1,7 | 1,9 |
| 5321 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5201 | ტოტენჰემი-ლივერპული | 1.75 | 1.85 |
| 5202 | ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 1.8 | 1.8 |
| 5203 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 1,7 | 1.9 |
| 5204 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1,7 | 1,9 |
| 5205 | სიტი-ფულემი | 1.8 | 1.8 |
| 5206 | ნორვიჩი-კრისტალ პალასი | 1,75 | 1.85 |
| 5207 | პორტსმუთი-ბირმინგემი | 1,75 | 1.85 |
| 5208 | მიდლსბრო-ნიუკასლი | 1,75 | 1.85 |
| 5209 | ევერტონი-არსენალი | 1,85 | 1.75 |
| 5210 | ჩელსი-მანჩესტერი | 1,8 | 1.8 |
| 5214 | მაინცი-ჰამბურგი | 1,95 | 1.65 |
| 5215 | ბაიერნი-ჰერტა | 2,1 | 1.55 |
| 5216 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 1,95 | 1,65 |
| 5217 | ჰანზა-ვერდერი | 1,95 | 1,65 |
| 5218 | შალკე-კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 1.6 |
| 5219 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 1,9 | 1.7 |
| 5220 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 2,0 | 1,6 |
| 5221 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 2.0 | 1.6 |

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი 16 ლიგა
3 ტური
ანონსი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# არ გააფუჭო!

## დაივიწყე მსაჯის ნომერი, გახსოვდეს პროკურორი

დღეს-ხვალ საქართველოს მე-16 ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურია. ბოლო ხანს გამოცოცხლებული ჩემპიონატისგან ყოველ ტურში ველით ახალ საკბილოს და ალბათ ხვალაც გვერგება მძაფრი ემოციები. სადღეისოდ ორი საუკეთესო ქართული კლუბი, „დინამო“ და „თბილისი“ „ეროვნულზე“ გაეჯიბრებიან ერთმანეთს. და რაკი მესამე ტურის ყველაზე საინტერესო ჯახი ესაა, და ტურისწინა ამბავ-ხაბარს ამით დავიწყებთ.

„დინამო“ — „თბილისი“. ამ წყვილმა განსაკუთრებული ინტრიგა მისცა წინა, მე-15 ჩემპიონატს. მართალია, გმირი სულ სხვა გუნდი („ვიტ ჯორჯია“) გახდა, მაგრამ, დაგვეთანხმებით, რომ „დინამომაც“ და „თბილისმაც“ საკმარისად წონიანი სიტყვა თქვეს მოედანზე... და მის გარეთაც.

მოკლედ გაგახსენებთ. ჯერ იყო და, საგაზაფხულო ეტაპის პირველ წრეში „თბილისი“ იმავ „ეროვნულზე“ 2:0-ს უგებდა ქვეყნის 11-გზის ჩემპიონს, თუმც დინამოელებმა მეორე ტაიმში თავის დაძვრენა შეძლეს — 2:2. მატჩი კი ისეთი გამოვიდა, რომ ალალად შეეხედებოდა.

მთავარი კი წინ იყო — ამავე გუნდების მეორე წრის შეხლა შედარებით მშვიდი გამოდგა. გია გეგუჩაძის ბიჭებმა 2:0 აჯობეს „თბილისს“ ისნის სარბიელზე. და დაიწყო — ნამატჩევს მსაჯმა კახა მესხმა აღიარა, ვიღაცამ დამირეკა და მთხოვა, „დინამოს“ დაეხმარეო. მერე ეს თხოვნა მუქარაშიც გადაზრდილა... ერთი სიტყვით, გუდას თავი მოეხსნა და წავიდა, რა წავიდა. ერთმანეთზე გადაკიდებული გუნდების თავკაცები ერთმანეთს ადანაშაულებდნენ და სკანდალსაც თითქოს ბოლო არ უჩანდა. რამდენიმედღიანი წიოკის შემდეგ კი ყველაფერი ჩაიფარცხა — გუნდებმა ხელი ხელს დაჰკრეს და შერიგდნენ. სიტუაციის განმუხტვაში ფედერაციამაც თქვა თავისი სიტყვა და საქმე პროკურატურას გადასცა. მსაჯის დამშინებელი გურამ შელია (ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი) კი ფეხბურთიდან მოკვეთეს.

ხვალ ეს გუნდები ისევ წარდგებიან ერთმანეთის პირისპირ და მორიგ სეირსაც ვნახავთ, თუმც... კულუარული სეირის ნაცვლად ფეხბურთის ნახვას ვისურვებთ და ვფიქრობ, ამ ცხელ ზაფხულს თბილისში დარჩენილი ქომაგი სტადიონზე მისვლას არ დაიზარებს. მით უმეტეს, მატჩი „გრილ“ დროს, საღამოს 8 საათზე იწყება.

„დინამო“ — „თბილისზე“ იმის თქმაც ეგების, რომ ეს ორად ორი კლუბია, ჯერაც რომ წარადგენს საქართველოს ევროთასებზე. გუშინწინ უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ორივე დამარცხდა, თუმც ჩემპიონატს უდანაკარგოდ ლიდერობენ. პრალულ „სლავიასთან“ წაგებამდე „დინამომ“ „სიონი“ და ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ მოინელა, „ლეგიასთან“ წაქცეულმა „თბილისმა“ კი „ზესტაფონსა“ და „კოლხეთს“ აართვა სამ-სამი ქულა.

ამათ დარად ორიდან ორივე მატჩი მოიგო ქუთაისის „ტორპედომ“. საქართველოს სამგზის ჩემპიონები გოლგაუშვებლად იგებენ და დღეს ფოთში შეჭირვებულ „კოლხეთს“ სტუმრობენ. ფინანსურად შენჯღრეული ქუთათურები გაიძახიან, ჩვენთვის მთავარია, ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთო, თუმცა ფაქტია — „ტორპედოს“ მეტი შეუძლია და ალბათ ფოთიდანაც არ დაბრუნდება ხელცარიელი.

დანარჩენ სამ წყვილს კი თავისი ფავორიტები ჰყავს — ზესტაფონში თბილისის „ლოკომოტივი“ გეგმავს სეზონის პირველ სამ ქულას და თუ არ წაიარხეინა, იმერლების ძლევა არ უნდა გაუჭირდეს. ვლადიმირ ზემლიანოის „ზესტაფონი“ ჩემპიონატის აშკარა აუტსაიდერია. ზაურ სვანაძის „ლოკომოტივი“ კი ამბიციური, მაგრამ ჯერაც დაულაგებელ-დაუწყობელი გუნდი, თუმც ყველაფრის მიუხედავად, რკინიგზელებს მოგება მართებთ. და ერთიც, შესაძლოა, დღეს ყოფილი დინამოელის მიხეილ ბობოხიძის რკინიგზული დებიუტიც შედგეს.

ბოლნისის „სიონთან“ მატჩში ფავორიტი „ბათუმია“. ზღვისპირელებს საინტერესო გუნდი ჰყავთ და ქვემოქართლელებთან წაფორხილება შესაძლოა, მაისის ბოლოს ძვირადაც დაუჯდეთ. თუმც დღეს ბათუმში ამაზე არავინ ფიქრობს — „სიონს“ ძნელი გამოცდა ელის.

„დილა“ — „ვიტ ჯორჯია“. წინა სეზონში ორივე გუნდმა დაიმსახურა ქება, მერე კი... „ვიტ ჯორჯიამ“ ევროსირცხვილით წაიხდინა სახელი, გორელებმა კი ინტერტოტოს თასზე ჩავარდნას ახალ ჩემპიონატში უხეირობა მიამატეს და... დღეს „დილას“ არავინ თვლის ძველებურად საშიშ მეტოქედ. თან ვეტერინარებმა წინა ტურში „დინამოსგან“ დასანანი მარცხი (2:3) იწვნიეს და ხასიათის გამოკეთებას ახლა ეცდებიან. ძნელი წარმოსადგენია, „დილამ“ ამაში ხელი შეუშალოს.

**ქახა ზალამბერიძე**



კიდევაც შეიყრებიან... მიხეილ კაკალაძე (მარცხნივ) და გივი კვარაცხელია

ზესტაფონი. 14 აგვისტო. 17 საათი. ცენტრალური

### ზესტაფონი — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); გ. ცირდავა (გულრიფში), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. ასკაროღლი (ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი
დისკვალიფიცირებულნი: ავალიანი, ბესარაშვილი (ორივე ზესტაფონი), მედოევი (ლოკომოტივი)

ფოთი. 14 აგვისტო. 17 საათი. ფაზისი

### კოლხეთი — ტორპედო

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

ბათუმი. 14 აგვისტო. 17 საათი. დინამო

### ბათუმი — სიონი

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), ი. აფციაური (დუშეთი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე
დისკვალიფიცირებულნი: თედორაძე (ბათუმი), ზაზაშვილი, ნ. ლაბაძე, ვერემჩუკი (სამივე სიონი)

გორი. 15 აგვისტო. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

### დილა — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ი. კახიანი; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე; დირექტორი: ს. კოტრიკაძე
დისკვალიფიცირებულნი: ლაბაძე, მგელაძე (ორივე დილა)

თბილისი. 15 აგვისტო. 20 საათი. ეროვნული

### დინამო — თბილისი

მსაჯები: მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი; ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 9:2 | 6 |
| ტორპედო | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| თბილისი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ბათუმი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:8 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| დილა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| კოლხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| ზესტაფონი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |



# გამბრინუსტესტი ახალი სამიზნისთვის

**გუშინ** „ამერმა“ საკუთარ საფეხბურთო სკოლაში პრესკონფერენცია გამართა, რომელიც პირველ ლიგაში სეზონის დაწყებას მიეძღვნა. ჩვენი მასპინძლები პრესსამსახურის უფროსი გიორგი დარჯანია, გენერალური მენეჯერი ვახტანგ ბზიკაძე, მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე, ფეხბურთელებიდან კი „ამერის“ კაპიტანი გიორგი დავითნიძე, გიორგი დეკანოსიძე და გუნდში ყველაზე ახალგაზრდა, მაგრამ ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე, 16 წლის გიორგი ელბაქიძე იყვნენ.



ამერელთაგან ყველაზე უმცროსი გიორგი ელბაქიძე

*გიორგი დარჯანიამ* „ამერის“ ყოველწლიური ცნობარის გამოცემის დაგვიანების მიზეზზე ილაპარაკა:

— იცით, რომ წელიწადში ორჯერ, სეზონის წინ და დასრულების მერე, ცნობარს გამოვცემთ. გვინდოდა, ახალი ცნობარი ჟურნალისტებისთვის დღეს დაგვერიგებინა, მაგრამ გათამაშების კალენდრის არარსებობის გამო ცნობარის გამოცემას საშველი არ დაადგა, არადა, სეზონი კვირას იწყება. ბოლოს გადავწყვიტეთ, ცნობარში კალენდრის დაბეჭდვაზე უარი გვეთქვა, რის გამოც ფაქტობრივად გამზადებული ცნობარის გადაწყობა მოგვიხდა და მის გამოცემას მხოლოდ მეორე ტურის წინ მოვახერხებთ.

*ვახტანგ ბზიკაძე:* „დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩემპიონატს კვირას, 15 აგვისტოს, ჩვენი სკოლის მოედანზე „ცხინვალთან“ მატჩით დავიწყებთ. დანარჩენი, ალბათ, ახლო მომავალში, ჩემპიონატის დაწყების მერე გაირკვევა.“

მთავარმა მწვრთნელმა *გიორგი ჩიხრაძემ* გუნდის მზადყოფნაზე ილაპარაკა:

...მზადება ივნისის ბოლოს დავიწყეთ. ბაკურიანში გავემგზავრეთ, სადაც აქცენტი ძირითადად ფიზიკურ მომზადებაზე გაკეთდა. მერე ჩეხეთში წავედით. „ბლშანის“ ბაზაზე, იდეალურ პირობებში ვცხოვრობდით და ვვარჯიშობდით.

– ჩეხეთში აქცენტი სხვადასხვა ტაქტიკური მონახაზების დამუშავებაზე გავაკეთეთ. მნიშვნელოვანი იყო ძლიერ მეტოქეებთან თამაშიც. ამ მხრივ გამბრინუსლიგის „ტეპლიცესთან“ და „ბლშანთან“ მატჩებს გამოვარჩევ. კარგი მოედანი და მაღალი კლასის მეტოქე ნაკლოვანებების დასანახად და დასკვნების გამოსატანად საუკეთესო საშუალებაა.

...ბოლო მატჩი „ბლშანთან“ გვქონდა. სწორედ ამ შეხვედრას უნდა ეჩვენებინა, როგორ მზადყოფნაში ვხვდებით ჩემპიონატის დაწყებას. თამაშით კმაყოფილი დავრჩი, მოძრაობაც იყო და ბრძოლაც. ყოველივე ეს და, რაც მთავარია, თამაშის ხარისხი მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ჩემპიონატს მზადყოფნაში ვხვდებით.

*გიორგი დავითნიძე:* ჩვენთან სხვადასხვა თაობის ფეხბურთელები თამაშობენ. ამის მიუხედავად, ჩვენ ერთ მუშტად შეკრული გუნდი ვართ. ძალიან ბევრი იქნება დამოკიდებული ჩემპიონატის სტარტზე, წინა სეზონში დაშვებული შეცდომები კი აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ.

*გიორგი დეკანოსიძე:* „ამერში“ გადმოსვლას ზოგი შეცდომად მითვლის, მაგრამ გუნდის კარგად გაცნობის მერე კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ სწორად მოვიქეცი. სერიოზული გუნდია, რომლის ხელმძღვანელობაც ყველაფერს აკეთებს უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად. ფეხბურთელებმა კი მათ ნდობა უნდა გავუმართლოთ.

*გიორგი ელბაქიძე:* წელიწადნახევარია, „ამერში“ ვარ. ამ პერიოდში საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღე. კმაყოფილი ვარ, რომ მენდობიან და ჩემს ასაკში ძირითად შემადგენლობაში თამაში დავიმსახურე.

**დავით ერაძე**


ფეხბურთი
ფკ ამერის საფეხბურთო სკოლა
პირველი ლიგა
15 აგვისტო
პირველი ტური
ამერი — ცხინვალი
თბილისი ცხინვალი
დასაწყისი 17 საათზე. დასწრება უფასოა
მის: თიანეთის გზატ. 25 (გლდანულას გადასახვევთან)

# ჩამოხვალთ თბილისში...
## დინამოს სლავიასი მარტო გოლები არ მართებს

„სლავია" — „დინამო" 3:1... არადა, პრაღის სტრახოვის სტადიონის ტაბლოზე სხვა ანგარიში შეიძლებოდა გამოსახულიყო, მაგალითად, 0:3, 1:4... ნუ იფიქრებთ, ამის დამწერს მთლად გაუფრენიაო, აბსოლუტურად საღი გონებით ვწერ ამ სტრიქონებს და თუ ამ მატჩის ფირს ნახავთ, ზემოთქმულში უეჭველი დამეთანხმებით.

შუიდან დავიწყოთ, უფრო სწორად, იქიდან, „სლავია" — „დინამოს" დროის ორი მესამედი მოლეული რომ ჰქონდათ.

„დინამო" 1:0 იგებდა და „სლავიას" კართან მომენტს მომენტზე ჰქმნიდა, როცა ქართველმა მცველებმა ერთი შეხედვით არცთუ უპატიებელი შეცდომა დაუშვეს, მაგრამ სწორედ ეს შეცდომა აღმოჩნდა ჩვენებისთვის საბედისწერო. მასპინძელთა მარჯვენა ჰავბეკი პიტაკი „დინამოს" საჯარიმოში შეიჭრა, დარტყმას ვერ ახერხებდა და საამისოდ ხელსაყრელ პოზიციას რომ არჩევდა, ჩვენებმა ჩეხი სწორედ მაშინ დასცეს. ტრიბუნიდან ჩანდა, ნაღდი პენალტი იყო. მსაჯმაც არ დააყოვნა და დასანიშნი დანიშნა. და რაკი მსაჯი ვახსენეთ, აქვე ვთქვათ, რომ მსაჯობაზე აუგის თქმა უსამართლობა იქნება. ის პენალტი კი „სლავიას" ბრაზილიელმა ადაუტომ უნაკლოდ შეასრულა. აი, ეს იყო და შემდეგი ხუთი წუთი „დინამოს" თამაში დაეკარგა. გუნდი აიჭრა, დაიბნა, რითაც გამოცდილმა ჩეხებმა კარგად ისარგებლეს და ზეწოლა უფრო გააძლიერეს. ამას კი კიდევ ერთი გოლი მოჰყვა, ამჯერად თავად პიტაკისგან, რომელმაც კუთხურიდან ჩაწოდებულს ძლიერი თავური მიაყოლა. შემდეგ თამაში გათანაბრდა, სამი-ოთხი წუთი ბურთი ისევ „დინამომ" დაიჭირა და ორი კარგი მომენტიც გააცუდა, მაგრამ გოლი აქეთ მიიღო: ზოიძის საჯარიმოში მოტრიალე ბურთს ბოლოს კალივოდამ დაარტყა და გაიტანა. ასეთი მომენტი კი, კალივოდამ გოლით რომ დაასრულა, ჩვენებს ხუთი-ექვსი ჰქონდათ, ხოლო ამაზე გაცილებით უკეთესი, რაზეც ასპროცენტიანს იტყვიან, სამი-ოთხი.

ახლაც იგივეს ვიტყვი, რაც მატჩის მიმდინარეობისას დავწერე. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე კახა ალადაშვილს გასატანი რომ გაეტანა, თავს დავდებ, ანგარიში ხომ შეიცვლებოდა და სხვაობა გაიზრდებოდა, ჟარგონზე რომ ვთქვა, „დინამო" „სლავიას" გაარღვევდა.

არადა, წარმოიდგინეთ, კარიდან ერთ-ორ მეტრში მარტო დგახართ, ხელისშემშლელი არავინ გყავთ და ბურთი თქვენია. ერთი, არცთუ ძლიერი დარტყმაა საჭირო და გოლია. ალბათ ესაა გამოუცდელობა.

კეთილი, არ გავიდა ალადაშვილის გასატანი და იმ ორ უნაღდეს საგოლე მომენტსაც გავიხსენებ, რომელიც „დინამომ", კერძოდ, მელქაძემ და კაკალაძემ 0:1-ზე შექმნეს და გაუცუდდათ. ორივე მეორე ტაიმის განახლებიდან ხუთ-შვიდ წუთში იყო. ჯერ კაკალაძეს უნდა გაეტანა, ან მელქაძისთვის გაეკეთებინა პასი და ის გაიტანდა. „დინამოს" ორი თავდამსხმელი ჩეხთა ნახევარზე ერთადერთი მცველის, რადეკ ბეიბლის პირისპირ დარჩა. კაკალაძე ბურთიანად მარჯვნიდან უტევდა, მელქაძე მას გასწვრივ, მარჯვნიდან მიჰყვებოდა, შუაში კი გამოცდილი ბეიბლი, რომელიც პოზიციას არ კარგავდა, კაკალაძესაც სივრცეს უზღუდავდა და არც მელქაძეს ტოვებდა უყურადღებოდ. ასე იარა სამეულმა „სლავიას" საჯარიმომდე, იქ კი კაკალაძეს ლატკა წამოეწია, თუმც ეს ჩვენიანისთვის პრობლემა არ იყო, ჩეხი დინამოელმა ერთი მოძრაობით გააბითურა და ჩამოიშორა. პასი ან დარტყმა — კაკალაძეს ასარჩევი აქვს. მან დარტყმა არჩია, ბურთს კი ბეიბლი გადაეღობა, ერთგვარად მეკარის ფუნქცია იკისრა, თუმც ხელი არ უხმარია.

მეორე, უფრო რეალური მომენტი მელქაძემ ნემსაძის მწვავე და გაზომილი პასის შემდეგ შექმნა. მელქაძე ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში, ორი მცველი იქით-აქეთ მიჰყარა და მეკარე ჩერნის თვალი გაუსწორა. კართან ძალიან ახლოა, ხუთიექვსი მეტრი. ლევანმა შორეულ კუთხეში, მოჭრილი დაარტყა, ბურთი ძელს მოხვდა და საპირისპირო მხარეს გაგორდა. არადა, ბურთი ძელს შიგნიდან რომ აესხლიტა, საჯარიმოში ორი ქართველი მარტოდ იყო და შეტევის შედეგიანად დასრულებას ისინი შეძლებდნენ.

ერთიც, სწორედ ამ დროს „სლავიას" მწვრთნელმა იოზეფ ცაპლარმა გუნდის ლიდერი კუკა წინ გადაისროლა და ჩვეული საქმე, გამოკვეთილ ფორვარდად თამაში დაავალა, ცენტრი კი შეცვლაზე შესულ კალივოდას დარჩა. ცაპლარს ამ გადაადგილებამ გაუმართლა. კუკა მცველების ყურადღებას იქცევდა, ადაუტოს და პიტაკს კი მოქმედებისთვის სივრცე უთავისუფლდებოდათ. ისიც სათქმელია, რომ ჩეხები საკმაოდ უხეშად, ნერვებზე თამაშობდნენ, რაც გამოუცდელი დინამოელებისთვის აუტანელი იყო.

პირველ ტაიმზე ცოტა ვთქვი და ცოტასაც მივამატებ, თუმც ეს ცოტა, ვფიქრობ, შესვენებამდე თამაშზე წარმოდგენას შეგიქმნით.

ასეთი სურათი იყო: „დინამომ" ძალიან აგრესიულად დაიწყო, რაც ჩეხებისთვის ალბათ მოულოდნელი გამოდგა. ჩვენები მეტოქეს მათსავე ნახევარზე ეთამაშებოდნენ და ხშირად ბურთს იქვე ატოვებინებდნენ. მოპოვებულ ბურთს კი საჯარიმოს პერიმეტრზე ათამაშებდნენ. „დინამოს" მცველები, მეტოქე რომ შეტევას დააპირებდა, მწყობრად ცენტრისკენ მიიწევდნენ და აკი ხუთ-ექვსჯერ ჩეხები თამაშგარეშიც ჩატოვეს.

„დინამოს" გოლი კი მართლაც შედევრის მსგავსი იყო: მარჯვნივ ჯერ ალადაშვილმა დაატრიალა ერთი ამბავი, მცველები მიმოფანტა, კრატოხვილს კი ფეხებშუა გაუძვრინა ბურთი და საპირისპირო ფლანგზე გადაიტანა. იქ უკვე კაკალაძის ფინტების კასკადი იყო, რაც ჩეხეთის ნაკრების ყოფილი მცველისთვის, დოშეკისთვის დასრულდა სამარცხვინოდ. კაკალაძე ალადაშვილს არ ჩა-



ლევან მელქაძეს თბილისშიც გასატანი აქვს

მორჩა და დოშეკსაც ფეხებშუა აგემა, ბურთი კარის წინ დარჩენილ მელქაძეს დაუგორა, რომელმაც ზუსტად დაარტყა. მერე პიტაკს ჰქონდა ერთი მომენტი. ჩეხებმა მეტი ვერაფერი მოახერხეს, სამაგიეროდ კი, მელქაძისგან ორი დარტყმა, ტრიბუნებიდან კი გამაყრუებელი საპროტესტო სტვენა მიიღეს...

სამწუხაროა, რომ ჩეხ ქომაგს ნამატჩევს სტვენის საბაბი აღარ ჰქონდა...

***

პრაღიდან თბილისის გზაზე მდგარმა „დინამომ" მასპინძლებისგან დიდი შეურაცხყოფა მიიღო და თუ თბილისელები „სლავიას" ჩვეული სტუმართმოყვარეობით არ დახვდებიან, ნუ გაიკვირვებთ, ნურც იმას იტყვით, „დინამოს" მასპინძლობა შეეშალაო. ჩვენები ჩეხებმა ბოლომდე გაამწარეს და ერთი ნაპერწკალი იყო საჭირო, საქმე ხელჩართულ ჩხუბამდე მივიდოდა.

ასეთი ამბავი იყო: ქართული ავიაციის გადამკიდე „დინამომ" პრაღაში ჩარტერული რეისით გასაფრენად „აირზენას" „ბოინგი" ვერ დაიქირავა. სულ სამია ასეთი თვითმფრინავი და სამივე დაკავებული იყო. თავისუფალი „იაკ 42" გახლდათ, რომელიც უწინ ავიაკომპანია „აჭარას" ეკუთვნოდა და ასლან აბაშიძეს ემსახურებოდა. ჰოდა, საბჭოთა წარმოების იაკებს, ტუებს თუ სხვა, მსგავსი კონსტრუქციის თვითმფრინავებს ხმაურის გამო ევროპის ცაში ღამით ფრენის ლიცენზია არ ჰქონიათ. აქაოდა, მოსახლეობას აწუხებსო. საწყალი ევროპელები, თვითმფრინავის ერთი დაგრუხუნება ვერ აუტანიათ.

პრაღა „დინამოს" „იაკ 42"-ის მიღების წინააღმდეგი იყო, თუმც საქმეში მერე „სლავია" და უეფა ჩაერივნენ და ჩვენებმა გაფრენის უფლება მიიღეს. ახლა პრობლემა ღამით ფრენა იყო, „დინამო" ნამატჩევს უნდა დაბრუნებულიყო. ერთ-ორ დღიანი მოლაპარაკების შემდეგ და ისევ უეფასა და „სლავიას" ჩარევით ეს პრობლემაც თითქოს მოგვარდა. მეტიც, თამაშის დღეს მეტოქე კლუბების წარმომადგენლების, ინსპექტორის, უეფას დელეგატის და მსაჯების შეხვედრაზე ამ საკითხზე იმსჯელეს. „სლავიამ" უეფას დელეგატს, ინსპექტორს და „დინამოს" გარანტია მისცა, რომ ქართული დელეგაცია მატჩის დასრულებისთანავე გაფრინდებოდა. ოღონდ ერთი პირობა იყო, თვითმფრინავი 11 საათამდე უნდა აფრენილიყო, შესაბამისად, საბაჟო-საპასპორტო ამბების მოსაგვარებლად „დინამო" აეროპორტში 10 საათისთვის მაინც უნდა მისულიყო.

მატჩი შვიდ საათზე დაიწყო, ცხრაზე დამთავრდა. ცაიტნოტის გამო „დინამოს" მწვრთნელმა პრესკონფერენციაც კი ორ წუთში დატოვა. გუნდი აეროპორტისკენ გაქანდა და ისე მოხდა რომ, მთელი დელეგაცია ათ საათზე უკვე თვითმფრინავში ისხდა... ველით გაფრენას, მაგრამ აეროპორტი აფრენის ნებართვას არ იძლევა. გავიდა ნახევარი საათი, ერთი, საათნახევარი, ორი საათი, თვითმფრინავი ადგილიდან არ იძვრის, ბოლოს, როგორც იქნა მასპინძლებმა ინებეს და მანქანით „დაპატიმრებულ" თვითმფრინავს მოადგნენ — ფრენის ნებართვას ვერ მოგცემთ, რეისი ექვს საათამდე გადადებულიაო. ეს სიტყვები იყო და, ისედაც განერვიულებული დინამოელები და მათი თანამხლებნი ისე აღშფოთდნენ, როგორც ვთქვი, ერთი ნაპერწკალი და იქ ამბავიატყდებოდა...

გუნდი თვითმფრინავიდან ჩამოსვეს, ტრანზიტული მგზავრის დამადასტურებელი მოწმობები დაურიგეს და ჰაიდა, ნეიტრალურ ზონაში... კიდევ კარგი, კაფე მუშაობდა და საკვებიც გემრიელი იყო... მაგრამ აფრენამდე ექვსი საათია. დაღლილ-დაქანცული ფეხბურთელები იქვე, მოსაცდელი დარბაზის სკამებზე წამოწვნენ და მიიძინეს, ზოგს მაგიდაზევე ჩაეძინა, ზოგიც „სლავიას" ლანძღვა-გინებით „იქცევდა თავს".

აი, ასე გადააგდო „სლავიამ" „დინამო" და ჩვენებზე რომ არაფერი ვთქვათ, უეფაც- დელეგატი ამ ამბავს უეფას შესაბამის კომიტეტამდე მიიტანს და ალბათ „სლავიას" საყვედური არ ასცდება.

ორ კვირაში კი ეს „სლავია" თბილისშია ჩამოსასვლელი...

და მთავარიც, სიტყვა ქომაგს: ნუ დაიზარებთ, ხელს ნუ ჩაიქნევთ და მიდით 26 აგვისტოს „ეროვნულზე". „დინამოს" თქვენი გახარების დიდი შანსი აქვს. „სლავია" სულაც არ ჩანს ის გუნდი, ჩვენებმა ორბურთიანი უპირატესობა ვერ გაუბათილონ...

**კოზა ინასარიძე**

*პრაღა — თბილისი*

### ინგლისი

ჩემპიონატი. II ტური

კარდიფი 0:[illegible] პლიმუთი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. II ტური

ბურგჰაუზენი 4:2 კიოლნი

დუისბურგი 2:1 ზაარბრიუკენი

აუე 3:1 მიუნხენი

სამხრეთ რეგიონალლიგა II ტური

ჰოფენჰაიმი 2:0 აუგსბურგი

ელვერსბერგი 1:3 ვეჰენი

ნოტინგენი 3:1 მიუნხენი (მ)

ფიურტი 2:0 მაინცი (მ)

დარმშტადტი 2:0 შტუტგარტი (მ)

ზიგენი 4:1 პფულენდორფი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. II ტური

ლორიანი 2:1 შატორუ

ნანსი 1:2 სედანი

ნიორი 1:3 გრენობლი

რეიმსი 2:0 ლავალი

ტრუა 2:2 დიჟონი

ამიენი 1:2 ლე ავრი

ანჟერი 0:1 მონპელიე

კლერმონი 0:2 გენიონი

კრეტეი 1:0 ლე მანი

### ჰოლანდია

I დივიზიონი. I ტური

როდა 2:3 ვიტესი

II დივიზიონი. I ტური

ჰაარლემი 2:0 მაასტრიხტი

ექსელსიორი 2:1 ეინდჰოვენი

იგლსი 0:1 ვეენდამი

ემენი 0:1 ზვოლე

ჰელმონდი 2:2 სპარტა

ჰერაკლესი 1:0 ტელსტარი

ოსი 5:1 დორდრეხტი

### ბელგია

იუპილერლიგა. II ტური

სტანდარდი 1:2 შარლერუა

### ავსტრია

I დივიზიონი. V ტური

ალტახი 4:0 ავსტრია (ლ)

გრატკორნი 0:2 ლეობენი

კაპფენბერგი 3:0 ვიორგლი

ლინცერი 0:8 კერნტენი

უნტერზიბენბრიუნი 1:1 რიდი

### ირლანდია

პრემიერლიგა. XXIII ტური

შემროკი 1:2 უოტერფორდი

ბოჰემიანსი 0:0 დროჰედა

### თურქეთი

სუპერლიგა. II ტური

გაზიანთეფი 1:0 გალათასარაი

### უკრაინა

უმაღლესი ლიგა. V ტური

არსენალი 1:0 ობოლონი

### ისლანდია

პრემიერდივიზიონი XIII ტური

ვიკინგური 2:3 კეფლავიკი

### ამხანაგური მატჩები

მილანი 2:2 (6:5პენ) სამპდორია

დეპორტივო 2:0 სპორტინგი


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე [illegible]
ტექნიკური რედაქტორი [illegible]
ქართული ფეხბურთის რედაქცია: [illegible]
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: [illegible]

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, [illegible]
ფოტორეპორტიორები: [illegible]
სტილისტები: [illegible]
კომპიუტერული ცენტრი: [illegible]



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge